# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 6 თებერვალი 1999 №20 (793) | ფასი 50 თეთრი


## ლოკომოტივი დარბაზში პირველია

თემურ მ..ხარაძემ რკინიგზელებს პირველი პრიზი მოაგებინა — მინიფეხბურთში მიხეილ მესხის ტურნირი

## 53-ე სეზონის წინ

სტეფანია წყნარი ოკეანის დივიზიონში



## ხუთი ერის გათამაშებამდე

ბოლო ორი გათამაშების გამარჯვებული, საფრანგეთის მორაგბეთა ნაკრები, წლეულსაც ჩემპიონობის უპირველესი პრეტენდენტია



## ნინო სალუქვაძის ორი გამარჯვება

ოლიმპიურ ჩემპიონს სეზონი ასე კარგად საკმაო ხანია, არ დაუწყია

# ფედერაცია

## უსპონსოროდ, მაგრამ 200 ათასით

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომას ამჯერადაც „შერატონ მეტეხი პალასმა" უმასპინძლა. გუშინ, ნაშუადღევს, აღმასკომის თვრამეტმა წევრმა დარბაზის კარი ზურგსუკან მიიხურა და საქმეს შეუდგა. დღის წესრიგში რამდენიმე საკითხი იყო. ილაპარაკეს ფედერაციის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაზე; დაამტკიცეს კომიტეტების 13 თავმჯდომარე, რომელთაგან ერთ-ერთი მხოლოდ უფროსის მოვალეობას შეასრულებს; ყური დაუგდეს ნაკრები გუნდების მწვრთნელებს; თქვეს, რომ ფედერაცია ყოველთვიურად დაეხმარება განსვენებული ნოდარ ახალკაცის ოჯახს; შეიწყალეს ყველა ის ფეხბურთელი, რომლებიც აქამდე სხვადასხვა ვადით იყვნენ დისკვალიფიცირებულნი; დაამტკიცეს ჩემპიონატის მეორე წრის კალენდარი.

და, ალბათ, ყველაზე მთავარი: საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელად რევაზ გაგუა დანიშნეს.

იხილეთ მეორე გვერდი



მერაბ ჟორდანია ვიცე-პრეზიდენტ ჩივაძესთან და გენმდივან ჩოლარიასთან ერთად

# უსინათლობამ მორიგი მატჩი ჩაშალა

საქართველოს ჩემპიონატი

13 ტური

შევარდენი 89:110 ასკ
აზოტი 90:69 სდასუ
მაკაბი - სტუ
გადაიდო დღეს გაიმართება

გუშინ, ვერის ბაღში „მაკაბიმ" და სტუ-მ მატჩი დაიწყეს და პირველი ტაიმიც ბოლომდე მიიყვანეს, მაგრამ შეხვედრას დასრულება არ ეწერა. დარბაზში ტრადიციულად დენი გამოირთო და მეტოქეები დღეს 15 საათსა და 30 წუთზე ხელმეორედ შეებმებიან.

მანამდე „აზოტმა" პირწმინდად დაამარცხა უხერხული მეტოქე სდასუ, ხოლო არმიულმა გუნდმა პირველი გამარჯვება მოიპოვა — „შევარდენს" გვარიანად გაუსწორდა.

იხილეთ მეექვსე გვერდი



აზოტელი ირაკლი ჯაფარიძე (ბურთით) შეუმცდარი პოზიციური ალღოთი გამოირჩეოდა



ბადრი კეთილაძის ფოტო

# ფედერაცია

## უსპონსოროდ, მაგრამ 200 ათასით

დასაწყისი პირველ გვერდზე

ბატონი რეზო ბოლო ხანს „ნორჩ დინამოელში" მუშაობდა, უფრო ადრე კი, ავადმყოფობის გამო ძველი ფედერაციის ხელმძღვანელებმა იგი ჯერ თამაზ კოსტავათი შეცვალეს, მოგვიანებით კი, გაგუას მწვრთნელობისას ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ნათამაშევი ნაკრები ოთარ შენგელიას ჩააბარეს. ახლა ძველი დრო დაბრუნდა — გუშინდელი ბრძანების საფუძველზე 16-წლამდელებს ისევ რევაზ გაგუა უთავკაცებს.

ეს რაც შეეხებოდა კარს მიღმა დამტკიცებულ-განხილულ საკითხებს. სხდომის დაწყებიდან ორ საათში კი ფედერაციის ხელმძღვანელობამ ჩვენთვისაც მოიცალა და კითხვებზე გვიპასუხა. უფრო სწორად, პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ გვითხრა, რომ...

...დღევანდელ სხდომას 18 წევრი ესწრებოდა. რამდენიმე კაცი ობიექტური მიზეზების გამო ვერ მობრძანდა. არ იყო არც აჭარის წარმომადგენელი, სადაც, სხვათა შორის, ხვალ მივემგზავრებით და იქაურებთან უფრო დაწვრილებით ვილაპარაკებთ. ქვორუმი მაინც შედგა და უფლებამოსილნი ვიყავით, რამდენიმე საკითხი დაგვემტკიცებინა — მერაბ ჟორდანიამ ის პუნქტები ჩამოგვითვალა, რომლებიც დღის წესრიგში იყო, შემდეგ კი სხვაზეც თქვა...

...გუნდების რაოდენობა XII ჩემპიონატიდან შემცირდება. მომავალ გათამაშებას კი იმისთვის გამოვიყენებთ, რომ სპორტული პრინციპი არ დავარღვიოთ და ყველას მივცეთ იმისი საშუალება, თავისი დონით დაიმსახურონ ადგილი უძლიერესთა შორის. მონაწილეთა რიცხვი რამდენით შემცირდება, ახლა ვერ გეტყვით, მაგრამ ნაღდი კია, 16 აღარ იქნება. უეფაშიც ასე გვირჩიეს.

...28 თებერვლიდან 23 მაისამდე, იმ პერიოდში როცა X ჩემპიონატის მეორე წრე ჩატარდება, მსაჯებს ფეხბურთის ფედერაცია გადაუხდის ფულს, რაც ჯამში 150 ათას ლარს შეადგენს. ბუნებრივია, დაცული იქნება სუბორდინაციის პრინციპი: მთავარი მსაჯი მეტს მიიღებს, ასისტენტები ოდნავ ნაკლებს, მეოთხე მსაჯიც სამუშაოს მიხედვით. უკვე დაბეჭდილ-გამზადებული გვაქვს სპეციალური ლიცენზიები და მხოლოდ ამათი მფლობელები მოემსახურებიან ჩემპიონატს. ისინი ორნაირია: ერთი, პირველი ჯგუფის მსაჯებისთვის, მეორე — მეორე და მესამე ჯგუფის მომსახურეთათვის. აბსოლუტურად ყველა მსაჯი კენჭისყრით დაინიშნება, რათა გამოირიცხოს ყოველგვარი მითქმა-მოთქმა. ადრე ბევრჯერ უთქვამთ, ეს კაცი იმ გუნდის არბიტრია და ამიტომაც მსაჯობს მათ თამაშებსო. აწი მსგავსი აღარ მოხდება.

...ეროვნული ჩემპიონატის მთავარი სპონსორის ვინაობა ჯერ უცნობია, თუმცა ადრეც მითქვამს, რომ მოლაპარაკება მიმდინარეობს რამდენიმე ძლიერ ქართულ ფირმასთან. რომელი იქნება ის, ჩემპიონატის განახლებამდე გვეცოდინება. ჯერჯერობით არც ეროვნულ ნაკრებს ჰყავს ტექნიკური სპონსორი. ფირმა „ვოსსთან" კონტრაქტის შეწყვეტის შემდეგ ახალი ხელშეკრულება არავისთან გაგვიფორმებია. ისე, სჯობს დღეისათვის რომ უსპონსოროდ ვართ. ახლა წყნარად შეგვიძლია ახალ და ჩვენთვის სასარგებლო კონტრაქტზე ხელმოწერა. ჯერ ყველაზე კარგი ურთიერთობა „ნაიკთან" და „რიბოკთან" გვაქვს.

ბოლოს ფედერაციის პრეზიდენტმა ეროვნულ გუნდზეც ილაპარაკა და შვეიცარიულ ფირმა „ტელესპორტთან" გაგრძელებული კონტრაქტის ერთი პუნქტიც გაგვაცნო — თურმე მიმდინარე და შემდგომ შესარჩევ ციკლებში საქართველოს ნაკრები გუნდების ყველა უცხოურ შეკრებას ეს ფირმა დააფინანსებს, რაც 200 ათასი დოლარი დაჯდება.

...ეროვნულ გუნდში თამაშის უფლება თითოეულმა ფეხბურთელმა თავისი ოსტატობით უნდა დაიმსახუროს. ალმასკომის წევრმა დაივთ გამყრელიძემაც თქვა, რომ ნაკრები ყველასთვის უპირველესი რამ არის, კლუბზე მაღლა ეროვნული ინტერესები დგასო.

ჩვენ ნაკრების მწვრთნელ ვლადიმერ გუცაევს სრული თავისუფლება აღვუთქვით, ყველაფრის უფლება აქვს. მისი პრეროგატივაა, კონკრეტული მატჩისთვის ვის გამოიძახებს, ვის — არა. ქეცბაიას რაც შეეხება, ჯერ თავად ფეხბურთელმა შეიცვალოს აზრი, მერე კი ვნახოთ.

ერთი კი ყველამ უნდა იცოდეს: ფედერაციის მხრიდან ნაკრებს უმნიშვნელო პრობლემაც არ შეაწუხებს. ეროვნული გუნდი ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტული ნაწილია. უკვე გადაწყვეტილია, რომ უახლოეს მეტოქეებთან, სლოვენიასთან და ნორვეგიასთან გამარჯვების შემთხვევაში ნაკრების წევრები სოლიდურ პრემიას მიიღებენ.

ერთიც — ამიერიდან საქართველოს ეროვნული გუნდის შინაურ მატჩებზე დასასწრებად აბონემენტები გაიყიდება.

ქობა ინასარიძე

---

### საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის დადგენილება

*თბილისი*
*1999 წლის 5 თებერვალი*

ალმასკომმა მოისმინა და განიხილა მერაბ ჟორდანიას ინფორმაცია კომიტეტთა ხელმძღვანელობის დანიშვნის შესახებ და

დაადგინა:

1. მიიღო მხედველობაში მ. ჟორდანიას ინფორმაცია კომიტეტების თავმჯდომარეთა დამტკიცების შესახებ.
2. დამტკიცდნენ კომიტეტის თავმჯდომარეებად:

სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი — *ანატოლი მილჩენკო*, ფიფას არბიტრი;
ბავშვთა და ჭაბუკთა კომიტეტი — *ლევან ყიფიანი*, ფონდ „ფეხბურთი ბავშვებს" ვიცე-პრეზიდენტი;
კადრების კომიტეტი — *ევგენი მეტრეველი*, იურისტი;
ნაკრების გუნდების კომიტეტი — *ალექსანდრე ჩივაძე*, სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტი;
ეკონომიკური კომიტეტი — *ლევან გაჩეჩილაძე*, კომპანია GWS-ის პრეზიდენტი;
სადისციპლინო კომიტეტი — *ომარ გოგიაშვილი*, ფიზაღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორი;
სააპელაციო კომიტეტი — *თემურ ნამიჭეიშვილი*, თბილისის რეგიონალური ტრანსპორტის პროკურორი;
საინფორმაციო კომიტეტი — *ემზარ ზენაიშვილი*, სეოკ-ის გენერალური მდივანი;
საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტი — *ზაზა ბოკერია*, სფფ-ს წარმომადგენელი ევროპაში;
ვეტერანთა და ფეხბურთელთა სოციალური დაცვის კომიტეტი — *გივი შუგაროვი*, პარლამენტარი;
სტატუსისა და ტრანსფერის კომიტეტი — *ლევან გორხელაშვილი*, იურისტი;
იურიდიული კომიტეტი — *გურამ ქარქაშაძე*, შსს მინისტრის მოადგილე;
საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი — *ბადრი ქარქაშაძე*, სფფ-ს საშეჯიბრო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე;
კომიტეტების თავმჯდომარეებმა მუშაობაში უნდა იხელმძღვანელონ ფიფას, უეფას, სფფ-ს და საკუთარი წესდებით.
კომიტეტების მუშაობის კონტროლი და მათი დახმარება დაევალოს სფფ-ს გენერალურ მდივანს ვალერი ჩოლარიას.

*მ. ჟორდანია*
*პრეზიდენტი*

---

# იმნაძე ჭანკოტაძეს უხმობს

გუშინ ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომმა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მცველს გიორგი ჭანკოტაძეს ერთწლიანი დისკვალიფიკაცია პირობითით შეუცვალა. ამით ჭანკოტაძეს თამაშის ნება დაერთო, რამაც, ბუნებრივია, ნაკრების მწვრთნელი გიგლა იმნაძე ძლიერ გაახარა:

— ალმასკომზე ნაკრების მზადების გეგმა წარვადგინე, უმთავრესი კი, რა თქმა უნდა, ჭანკოტაძის საკითხი იყო ჩემთვის და მოხარული ვარ, რომ მეორე წრიდან თამაშის საშუალება მიიცა. მისი დაბრუნება ნაკრებისთვის დიდი სტიმულია, ხოლო თუ ჭანკოტაძე ერთხელაც შეცდა, მაშინ უფრო მკაცრად დაისჯება. ჭანკოტაძე აზერბაიჯანთან სათამაშოდ გამოვიძახე.

გიორგი ვაშაკიძე

# კოპალეიშვილი ამნისტიამ დააკმაყოფილა



ვახტანგ კოპალეიშვილი

გიორგი ჭანკოტაძის დარად, ერთწლიანი დისკვალიფიკაცია ნაკრების კიდევ ერთ ფეხბურთელს ჰქონდა — გაგრის „დინამოსა" და 18-წლამდელთა მეკარე ჟიული ჯოლოხავას. ალბათ, გახსოვთ, ნაკრების მწვრთნელმა ვახტანგ კოპალეიშვილმა „სარბიელს" სულ ახლახან განუცხადა, ალმასკომზე ჯოლოხავას საკითხს დავაყენებ, თავდებად პირადად დავუდგები, თუ მსგავსი საქციელი გაიმეორა, მაშინ მის ფეხბურთიდან მოკვეთას პირველი მოვითხოვო.

ალმასკომმა ჭანკოტაძის დარად ჯოლოხავაც შეიწყალა, ვახტანგ კოპალეიშვილმა კი განაცხადა: — საქმისადმი პროფესიონალურად მიდგომისთვის მინდა, მადლობა გამოვუცხადო ყველას და განსაკუთრებით მერაბ ჟორდანიას. გაითვალისწინეს ჯოლოხავას ახალგაზრდული ასაკი, მისი გამოუცდელობა და სამართლიანი დადგენილებაც გამოიტანეს. ახლა ყველაფერი თავად მეკარეზე, ჩვენზე და იმ ხალხზეა დამოკიდებული, რომლებმაც პერსპექტიულ ახალგაზრდას ხელი უნდა შეუწყონ.

გიორგი ვაშაკიძე

---

UEFA UNDER-16 Championship

# თექვსმეტწლამდელებს კვლავ გაგუა გაწვრთნის

## ისტორია მეორდება. განმეორდება ძველი შედეგი?



რევაზ გაგუა

ბადრი კეთილაძის ფოტო

*ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომმა საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელად რევაზ გაგუა დაამტკიცა. ალბათ იცით, გაგუა ნაკრებს ადრეც თავკაცობდა, მისი ხელმძღვანელობისას ხომ ჩვენმა 16-წლამდელებმა ქართული ფეხბურთის ისტორიაში ნაკრებთა დონეზე პირველად მოიპოვეს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება. მერე გაგუა ნაკრებიდან წავიდა, მიზეზად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება დასახელდა, გული ანუხებდა, თუმცა ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა.*

*გაგუას შემდეგ ქართველ ჭაბუკებს ოთარ შენგელია მოძღვრავდა, ახლო წარსულში კი ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, რომელიც წრიული სისტემით ავსტრიაში ჩატარდა, სუსტად იასპარეზა და მასპინძელ და ბერძენ თანატოლებთან დამარცხდა. ალბათ, წარუმატებლობის მიზეზი იყო შენგელიას გათავისუფლება, თუმცა ოთარ შენგელია 16-წლამდელთა ნაკრებში დარჩება, იგი ახალდანიშნულ მწვრთნელ რევაზ გაუგას ასისტენტობას გაუწევს. თავად ბატონმა რეზომ მილოცვის შემდეგ გვითხრა:*

— მინდა, მადლობა გადავუხადო პრეზიდენტს, ყველას, ვინც ნდობა გამომიცხადა, ვინც გამოთქვა სურვილი, რომ ნაკრებისთვის კვლავ მე მეხელმძღვანელა. ყველანაირად ვეცდები, უკეთესი თუ არა, ის შედეგი მაინც გავიმეორო, ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე რომ გავიდა. შეკრებებს და მზადების პროცესს ნელ-ნელა შევუდგებით. ალბათ, ერთ კვირაში დავიწყებთ მზადებას, დავაკვირდებით, გავსინჯავთ და შემდეგ ავარჩევთ სანაკრებო კანდიდატებს.

**— თქვენს წინამორბედ ოთარ შენგელიას რა ბედი ეწია?**

— ოთარი ჩემთან ერთად იმუშავებს, ნაკრების მომზადებაში რამაზ მუმლაძეც დაგვეხმარება.

**— ევროპის ჩემპიონატის მომავალ შესარჩევში მეტოქენი ცნობილია, თქვენ რას ფიქრობთ ამის თაობაზე?**

— ბერძნებიც, ბულგარელებიც და ხორვატებიც ძველი მეტოქეები არიან. ასე რომ, მათზე გარკვეული წარმოდგენა მაქვს. შანსი კი ნაკრებს ყოველთვის აქვს, მთავარია, საქმეს როგორ მიუდგები. თუ ხელშეწყობა სათანადო იქნება, პირობას გაძლევთ, თავს არ დავზოგავთ. ასე რომ, წინასწარ განწირულად თავს ნამდვილად ვერ ვგრძნობ.

გიორგი ვაშაკიძე

ფირმების რეგისტრაცია
აუდიტი
ოფშორული კომპანიები
☎ 93-52-34
8-77-42-20-59
რუსთაველის 19



ფინალში გამარჯვებული ვარლამ კილასონიას (შუაში) გოლმა გაარკვია

გაიოზ კოთიშვილის ფოტო

# ამისთანა და ამისუარესი

**მიხეილ მესხის ხსოვნის ტურნირი მინი-ფეხბურთში**

## მატჩი მესამე ადგილისთვის

**დილა 4:2 არსენალი 2**

(2:2 ძირითადი დრო, დ.დ. 2:0)
0:1 გოცირიძე (29), 1:1 მარეხაშვილი (39), 2:1 ციცქიშვილი (45), 2:2 ოქრუაშვილი (49), 3:2, 4:2 ციცქიშვილი (51, 54)
*გაფრთხილება:* მდივანი (დილა), გოცირიძე (არსენალი 2), ჩხაიძე (არსენალი 2)
მსაჯი: ა. შილაკაძე

## ფინალი

**ლოკომოტივი 1:0 ვიტ ჯორჯია**

1:0 ვ. კილასონია (41)
*გაფრთხილება:* ბარნოვი (ლოკომოტივი), დაუშვილი (ლოკომოტივი), ჯანელიძე (ლოკომოტივი), თ. ბოკერია (ვიტ ჯორჯია)
*გაძევება:* ნოზაძე (42, ვიტ ჯორჯია), ა. ბოკერია (45, ვიტ ჯორჯია)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე

მიხეილ მესხის ხსოვნის რიგით მეორე ტურნირი მ[illegible]-ფეხბურთში ისტორიას ჩაბარდა. ა[illegible] ჩვენი, ჟურნალისტების საქმეა, როგორ შევაფასებთ ჩავლილ შეჯიბრს — კარგად, ცუდად თუ საშუალოდ. მოკლედ კაცია და ხასიათი, გემოვნებაა და მისი ჯანი. თუმცა ალალად ვიტყვი, არა მგონია, ბევრს მოსწონებოდეს სპორტის სასახლეში მიმდინარე ტურნირი. ამას ყველაზე კარგად მერაბ ჟორდანიამ მისცა შეფასება. — მართალია, წლევანდელი ტურნირის დონე ოდნავაც არ ეკადრება მიხეილ მესხის ხსოვნას, მაგრამ არაფერია, მომავალში უფრო დავხვე[illegible] ელაფერსო — ასეთი კომენტარი გააკეთა სფფ-ს პრეზიდენტმა.

სფფ-ს პრეზიდენტის ან სხვა ვინმე ჩინოსნის გამონათქვამი დიახაც რომ საყურადღებოა, მაგრამ ჩვენ სხვებს თავი გავანებოთ და ჩვენი ვთქვათ ის, თუ რა მოგვეწონა და რა არა, რა იყო კარგი და რა ცუდი ხსენებულ ტურნირზე, მით უმ[illegible]ეს, ერთიც მრავლად იყო და მეორეც.

### რა იყო კარგი

თავისთავად კარგი იყო ის, რომ ტურნირი საერთოდ ჩატარდა. ჯერ ერთი — პოპულარული და ბრწყინვალე ფეხბურთელი გავიხსენეთ, მეორეც, უსახსროდ მყოფმა ქართულმა კლუბებმა (ზოგიერთმა, რა თქმა უნდა) ცოტათი მაინც გაიმრავალფეროვნეს ზამთრის დღეები და საფეხბურთო საქართველოს ყოფა ოდნავ მაინც დაემსგავსა ევროპისას (სადაც ამ დროს, როგორც წესი, დარბაზებში აგორებენ ბურთს).

მერე: ძლივს ჟურნალისტებმაც ადამიანებად ვიგრძენით თავი — ტურნირის ორგანიზატორებმა აკრედიტაციაც გულუხვად გასცეს, ოქმებსაც დროულად და გამართულს გვაწოდებდნენ და საერთოდ, რაღაცნაირი შეხმატკბილებული გარემო სუფევდა ტურნირზე.

კიდევ: ძალიან, ძალიან ლამაზი ფეხბურთი არა და ძალიან, ძალიან ლამაზი გოლი კი ვნახეთ რუსთაველი კახა ალადაშვილის შესრულებით, იყო ჟინი, იყო ბრძოლა და თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგჯერ მინი-ფეხბურთიც იყო...

კარგი იყო ისიც, რომ ორგანიზატორებს მშვენივრად უზრუნიათ სატურნირო ატრიბუტიკისთვის: თასები, მედლები, ფულადი პრემიები — რა გინდოდა სულო და გულო, აგელო და მოგეგო.

### ცუდი რა იყო

ცუდი იყო ის, რომ „გურია“ ვერ ვიხილეთ. ესე იგი „გურიას“ ძველებურად უჭირს და შველა უნდა. იმაზე მარჩიელობა კი, სად და რამდენი საბურავი გაუსკდა გურულების ავტობუსს, მართლა მარჩიელობაა და მეტი არაფერი.

ისიც ცუდი იყო სპორტის სასახლეში რომ შუქი ქრებოდა ყოველდღე. ფინალიც კი შეწყდა თხუთმეტი წუთით.

მერე: ამ ტურნირს მინი-ფეხბურთისა კი ერქვა, მაგრამ მინი-ფეხბურთის ელემენტები ძალიან ცოტა ვიხილეთ. მატჩები დარბაზის ფეხბურთს არა და უფრო ნჰლ-ის მატჩებს გაახსენებდა კაცს — ჯაჯგურ-ძიძგილაობით და ბორტებზე ჯახა-ჯუხით.

კიდევ: ხშირად არ იცავდნენ ფეხბურთელები თითქოსდა წვრილმან, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან მინი-ფეხბურთის წესებს და ამას ცოტა არ იყოს, უცოდინარობის სუნი ასდიოდა.

### დაბოლოს

ბოლოს ყველაფერი კეთილად დამთავრდა — „ლოკომოტივი“ გაჩემპიონდა, გორელი თამაზ ციცქიშვილი ბომბარდირი გახდა შვიდი გატანილი ბურთით, ტურნირზე საუკეთესოდ „ვიტ ჯორჯიელი“ მიხეილ მაზიაშვილი აღიარეს, „ბენდელას პრიზი“ — საუკეთესო მცველ პაატა ბარნოვს (ლოკომოტივი) გადაეცა, დაასახელეს სიმბოლური ექვსეულიც — მეკარე დავით ჯანელიძე (ლოკომოტივი), ჯაბა მუჯირი, მიხეილ მაზიაშვილი, არჩილ ბოკერია (ყველა ვიტ-ჯორჯია), გიორგი ბალაშვილი (ლოკომოტივი), ლაშა ჩხაიძე (არსენალი 2). პრიზები და პრემიები უკლებლივ დაარიგეს და ამით ტურნირიც დაიხურა ყოველგვარი ზარზეიმის გარეშე.

ჩვენი პირობებიდან გამომდინარე, ამისთანა შეჯიბრიც რომ მოხერხდა, კარგია და უარესი კიდევ ღმერთმა გვაშოროს.

**კონსტანტინე გოგიაშვილი**



თემურ მახარაძემ „ლოკომოტივს“ პირველი პრიზი მოაგებინა, ჯერჯერობით — მინი-ფეხბურთში

გაიოზ კოთიშვილის ფოტო

# კოლხები შეკრებაზე: ძველებურად ნესებრში

მიუხედავად იმისა, რომ ფოთელთა უმთავრესი იმედი, ფოთის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგური ნახევრადაც არ არის დატვირთული, კლუბის პრეზიდენტმა ჯემალ ინაიშვილმა საჭირო სახსრები მაინც გამონახა და კოლხები შავი ზღვის იქითა ნაპირზე გაისტუმრა. ბულგარეთის პატარა საკურორტო ქალაქი ნესებრი ჩვეულ სტუმრებს კვლავ უმასპინძლებს, ოღონდ უჩვეულო შემადგენლობით.

თუმცა თავად განსაჯეთ:

მეკარე — ჩემია; ფეხბურთელები — პაპავა, ტორჩინავა, გოროზია, ჩადუნელი, ქობულაძე, ბურკვაძე, ანჯაფარიძე, თედეევი, ბაჩილავა, გიორგაძე, შავგულიძე, ღლანიძე, კალანდაძე, ებრალიძე, კრასოვსკი, ბულუხია, გვასალია, ბურჭულაძე.

როგორც ხედავთ, დანაკლისი საკმაოდ დიდია, რაც შეეხება ერთი მეკარით გამგზავრებას, კოლხთა კარის მთავარი დარაჯი ზურაბ ქვაჩახია სარატოვის „სოკოლთან“ ერთად კვიპროსს გაემგზავრა, მაგრამ იგი სეზონს ფოთში დაასრულებს, ხოლო რუსი შევარდნების დაინტერესებისა და მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში ტრანსფერი შესაძლოა ივნისის თვეში შედგეს.

ჯერ კიდევ ღიად რჩება ორი მცველის — ახვლედიანისა და შალამბერიძის საკითხი, ორივემ ზღვისპირეთს იმერეთი არჩიეს, მაგრამ გუნდის დაბრუნების შემდგომ საკითხი უფრო ცივილიზირებულად გადაწყდება.

გამგზავრების წინ კოლხთა თავკაცმა გია ტყებუჩავამ თქვა: „ახალგაზრდები თავის სიტყვას იტყვიან და გუნდი კვლავ მაღალი მიზნებისათვის იბრძოლებს. თუმცა კონკურენცია საკმაოდ დიდია და თითოეული ქულა მხოლოდ მინდორზე მაქსიმალური თავდადებითა და ბრძოლით არის შესაძლებელი. ფოთელებს ეს თვისება მოჭარბებულადაც გაგვაჩნია და იმედია, თავს არ შევირცხვენთ“.

კოლხები ფოთში 21 თებერვალს დაბრუნდებიან, ხოლო 28-ში თბილისში ჯერაც დაუმარცხებელ რკინიგზელებს ვაკეში გაეჯიბრებიან უკვე საიუბილეო ჩემპიონატის მეთექვსმეტე ტურში.

**ბიძინა დარჩია ფოთიდან**

# ჯანაშია და ტორპედო კბილებს ილესენ

გუშინწინ გვიან ღამით ქუთაისის „ტორპედო“ ანთალიიდან დაბრუნდა. გუშინ კი გუნდის ლიდერი დავით ჯანაშია მოვიხელთეთ და თურქული ტურნეს თაობაზე გავესაუბრეთ.



დავით ჯანაშია

— უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. მართალია, ცუდი ამინდები დაგვემთხვა, მაგრამ არაუშავს. მთავარია, სავარჯიშო პროცესი არ შეგვიწყვეტია და ექვსი მატჩის გამართვაც მოვახერხეთ.

**— ჩვენ მხოლოდ თურქულ „ფენდიქსფორთან“, მარიუპოლის „მეტალურგთან“ და მახაჩკალის „ანჟისთან“ შეხვედრებზე გვაქვს ინფორმაცია.**

— მათ გარდა კიდევ ერთ თურქულ გუნდს 1:1 ვეთამაშეთ, 4:2 მოვუგეთ გერმანულ სამოყვარულო კლუბს.

**— წამოსვლის წინ ბულგარელებს უნდა შეხვედროდით, არა?**

— ჰო, ზუსტად წამოსვლის დღეს შევხვდით ბულგარულ გუნდს და მატჩი 0:0 დასრულდა. მეტოქემ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, გამართულ ფეხბურთს თამაშობდა, თუმცა ბიჭებმა ერთი მომენტის შექმნის საშუალებაც არ მისცეს მოწინააღმდეგეს და თამაშით აჯობეს კიდეც.

**— მაყურებლის პოზიციიდან რატომ მსჯელობ?**

— მე არ მითამაშია. „ანჟის“ წინააღმდეგ მატჩის პირველ ტაიმში მუხლი ვიტკინე და იძულებული გავხდი, მოედანი დამეტოვებინა.

**— ტრავმა სერიოზულია?**

— არა, საშიში არაფერია. მალე ინდივიდუალურად დავიწყებ ვარჯიშს, შემდეგ კი თანაგუნდელებს შევუერთდები.

**— „ტორპედო“ რას აპირებს?**

— ხვალიდან მზადებას განაახლებს საღორიის საწვრთნელ ბაზაზე.

**— როგორ ფიქრობ, ხართ ფორმაში?**

— გუნდი მშვენიერ ფორმაშია. ბიჭებმა აშკარად მოუმატეს და რაც მთავარია, საბრძოლო ჟინი არ გაგვნელებია. ერთი სული გვაქვს, როდის დაიწყება თასის გათამაშება და მეორე წრე. „ტორპედოს“ წლეულს ორივე ფრონტზე დიდი მიზნები აქვს.

**ხვიჩა სანიკიძე**

# კაიდარაშვილი გორიდან ტერნოპოლში

გორის „დილას“ გოლეადორი ალეკო კაიდარაშვილი მშობლიურ კლუბს რომ დაემშვიდობა, ადრეც გამცნეთ. მას მთხოვნელი საქართველოშიც არ აკლდა, მაგრამ კაიდარაშვილმა აქ თამაშს უცხოეთში წასვლა არჩია. ბევრი იარა, თუ ცოტა, ბოლოს უკრაინაში გაჩერდა და იქაური უმაღლესი ლიგის „ნივას“ მიაკითხა.

ტერნოპოლის „ნივა“ უკრაინელთა თექვსმეტგუნდიან ჩემპიონატში პირველი წრის შემდეგ მეცამეტე ადგილზეა. ეს საფეხური კი სახიფათო ზონად ითვლება.

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა იგორ იურჩენკომ სამეორეწრეო სამზადისის დაწყება 10 იანვარს ბრძანა. ორი კვირა ტერნოპოლში ავარჯიშა გუნდი, ხოლო 26 იანვარს სლოვაკეთს მიაშურეს, ასევე ორკვირიან შეკრებაზე.

სწორედ სლოვაკეთში ნახა იურჩენკომ კაიდარაშვილი. წამსვე მისი საქმეში ნახვა გადაწყვიტა და ერთ-ერთი ამხანაგური მატჩის მეორე ნახევარში „ნივას“ წინა ხაზი ანდო.

კაიდარაშვილმა გამოცდა წარმატებით ჩააბარა, მისმა გატანილმა გოლმა „ნივა“ წაგებისგან იხსნა. თამაში ფრედ, 3:3 დამთავრდა.

იურჩენკო კმაყოფილია ახალი შეგირდის გარჯით, თუმცა იმასაც დასძენს, კაიდარაშვილს კიდევ ერთი გამოცდის ჩაბარება მოუწევსო.

„ნივა“ 7 თებერვალს დაბრუნდება ტერნოპოლში, 8 თებერვალს კი თურქმენეთისკენ აიღებს გეზს და თბილ ქვეყანას 18 თებერვლამდე შემორჩება.

ჩვენებურის ბედი კი საბოლოოდ ოც თებერვალს გაირკვევა. ალბათ, ალეკო ბოლო გამოცდასაც წარმატებით ჩააბარებს და კიდევ ერთი უკრაინელი შეიქნება.

**მამუკა ქვანტალიანი**

გიო ახვლედიანის

სვეტი

# მოხსნილი

ის სიმპატიური კაცია, ოდნავ მედიდური. ალბათ, გულში ამაყობს კიდეც თავისი წარმოსადეგი იერითა და გამორჩეული ჭკუით. ასევე იმით, რომ სწორედ ასეთია და არა სხვანაირი. ალბათ, ფიქრობს კიდეც, რომ მისი ფიქრები სწორედ რომ გამორჩეული კაცის ფიქრებია. ასევე ფიქრობს, რომ მის მიმართ ვალში არიან. ვალში იყვნენ, როცა ფეხბურთელი იყო, ვალში იყვნენ, როცა ნაკრებს მწვრთნელობდა და ახლაც, როცა დროებით უმუშევარი დარჩა, მის მიმართ დიდი ვალი აქვთ. ეს ვალი ციფრებით არ გამოიხატება, არამედ მისი ფიქრებისა და იდეების მიღების სურვილით. აკი სჯერა, რომ გამორჩეული და თავისებური კაცია.

საერთოდ, იმთავითვე შეამჩნევდი, რომ ის ძალიან ბევრს ფიქრობს. განუზომლად ბევრს ფიქრობს და არა მხოლოდ ფეხბურთისა და ყოფით რაღაცეებს. იმდენს ფიქრობს, რომ ბოლოს გაიხლართება ამ თავის ფიქრებში და ძალიან გაუჭირდება ამ ხლართებიდან თავის დაღწევა. გახლართულან — სულ ნიცშეები და ეგეთი ვინმეები და ვითომ მწვრთნელი ვინ უნდა იყოს ისეთი, რომ არ გაიხლართოს.

რონ ატკინსონი არ გაიხლართება. არაფრით. არც ჰოვარდ კენდელი. არც ფერგი. ვიალი ხომ არა და არა და არც არსენ ვენგერი. თავისი ინტელექტუალურობის მიუხედავად. ესენი არ გაიხლართებიან და ამიტომ არ წარმოთქვამენ გასაკვირ სიტყვებს. არ ეცდებიან, რომ თავიანთი ფიქრები ხმამაღლა გამოაცალკევონ დიდი შოუდან და რაღაც მოულოდნელი მოიმოქმედონ. საზოგადოება უაღრესად დემოკრატიულია. უაღრესად ბევრი რამ არის აკრძალული, იმისთვის, რომ დემოკრატია ყვაოდეს, ადამიანები მშვიდად იყვნენ და ერთმანეთი არ აალელვონ. ამისთვის ძალიან ბევრი რამ არის მოგონილი. ყველაფერი მუშაობს და ასეთ ვითარებაში, თვით ყველაზე ფიქრიან მწვრთნელს არ უნდა ჰქონდეს სურვილი სულების გადასახლებაზე ფიქრისა და საზალხოდ განსჯისა.

მაგრამ რახან არსებობს ის, ასეთი სიმპატიური და ოდნავ მედიდური, ის, რომელიც გადამეტებულადაც გრძნობს, ვინ არის, თან იმგვარად ჩაღრმავებია უცნაურ მოძღვრებებს, რომ არ შეუძლია ხმამაღლა არ გამოთქვას აზრები თავის რწმენასა და ურწმუნოებაზე, კონფლიქტი გამოჩნდებოდა.

თქვენ გეხსომებათ ეს კაცი თბილისში, მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა შორის — მათი ნახატებით ხელდამშვენებული. თქვენ ასევე გეხსომებათ, რომ უცნაურად იქცეოდა და თავისი ფეხბურთელების ცხოვრებაც აღწერა წიგნში, რაც არავის მოეწონა. თქვენ ასევე გეხსომებათ, რომ ეს კაცი თავის სიმართლეს ქადაგებდა, წიგნიც იმიტომ დაწერა. ის არა მხოლოდ ფეხბურთშია, არამედ სხვაგანაც. რაღაცეების გარკვევას ცდილობს თავისთვის და ჩანს, ეს არ არის უბრალო რაღაცეები.

ნათქვამი კი ბავშვური გამოუვიდა, მარტივი და ერთგვარად გულუბრყვილო. ასე ემახსოვრებათ ფიქრებით ტანჯულ ადამიანებს, ისინი უამრავს ფიქრობენ და ფიქრობენ იმგვარად, რომ აღარც აინტერესებთ ამ ფიქრის შედეგის გადმოცემის ფორმა. ფორმა კი იქ, სადაც დემოკრატიაა და მთავარი ადამიანთა სიმშვიდეა, თავად მოგეხსენებათ... ბრაჰმანები, ელენ ქალბატონი, ფიქრები, სულები, წაგება შვედეთში, ფრე უემბლიზე, ახალი კონტრაქტი, გამქრალი კონტრაქტი, ინვალიდები, საცოდავი ხალხი, აღშფოთებული ხალხი და თანამდებობიდან გადააყენეს ჩვენი ძველი ნაცნობი, ეგეთი სიმპატიური, ოდნავ მედიდური, ფიქრებში გახლართული სერი, სერის ტიტულის გარეშე — გლენ ჰოდლი...

## ესპანეთი

### თასი მეოთხე ეტაპი

**ბარსელონა 3:0 ბენიდრომი**

1:0 ფ. დე ბური (21), 2:0 სერხი (38), 3:0 ჯოვანი (77)

მესამე დივიზიონის გუნდი ამხელა „ბარსელონასთან“ აბა რას გახდებოდა. არც მაყურებელს შეუწუხებია მაინცდამაინც თავი სტადიონზე მისვლით, „კამპ ნოუზე“ სულ 20 ათასი მოცლილი დათვალეს.

ლუის ვან გაალის გუნდს ბენიდრომში 1:0 ჰქონდა მოგებული. იქ გატანილს კატალონიელებმა შინაც სამი დაამატეს და მეოთხედფინალში „ვალენსიასთან“ სათამაშოდ გაიკვლიეს გზა.



ფრენკ დე ბური „ბენიდორმთან“ შეხვედრაში ანგარიშს ხსნის

REUTERS ბარსელონიდან

## ჰოლანდია

### თასის მესამე ეტაპი

**ეინდჰოვენი 2:1 გრონინგენი**

0:1 მატისი (24), 1:1 გილსი (48 პ), 2:1 ვან ტუინენი (88)

**ცვოლე 5:2 გოუ ეჰედი**

0:1 სიკორა (14), 0:2 მარბუსი (35), 1:2 პეელენი (44ს.კ.), 2:2 დერკსენი (59), 4:2 სლოტი (65), 5:2 დერკსენი (75)

**როდა 0:3 აიაქსი**

0:1 ვამბერტო (34), 0:2 კნოპერი (59), 0:3 არველაძე (90)

**უტრეხტი 1:2 ფეიენოორდი**

0:1 პაუვე (18), 1:1 როპემონდი (32პ), 1:2 კორნეევი (39)

# დიდება მანჩესტერ იუნაიტედს!

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ ახალი 1999 წლის პირველ თვეში საუკეთესო ინგლისელი მწვრთნელისა და ფეხბურთელის ტიტულები მიითვალა.

თვის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს ალექს ფერგიუსონი. შოტლანდიელ სპეციალისტს ასეთი პატივი უკვე მეშვიდედ ხვდა 1993-94 წლების სეზონის შემდეგ, რაც სარეკორდო შედეგი გახლავთ.

თვის საუკეთესო მოთამაშედ კი დაასახელეს დუაიტ იორკი. მან იანვარში ხუთი გოლი გაუტანა მოწინააღმდეგეებს.

აღსანიშნავია, რომ გასულ თვეში „მანჩესტერ იუნაიტედმა“ პრემიერლიგასა და თასზე ჩატარებულ ხუთივე შეხვედრაში მოიპოვა წარმატება. ასეთი წარმატებული თამაშის შედეგად ინგლისის ყველაზე ტიტულოვანი და მსოფლიოს უმდიდრესი კლუბი ცხრილში ოთხი ქულით დაწინაურდა, თუმცა კონკურენტებზე ერთი შეხვედრით მეტი აქვს ჩატარებული.

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისის** ნაკრების ძველმა კაპიტანმა ბრაიან რობსონმა, გლენ ჰოდლს თანამდებობიდან გადაყენების მერე მის ადგილზე ტერი ვენეიბლზის დანიშვნა ისურვა. თავად რობსონიც იყო იმ კანდიდატთა შორის, რომელთა ვინაობასაც ჰოდლის სავარაუდო შემცვლელებად ასახელებდნენ, მაგრამ უარი განაცხადა. მან ძალიან კარგად იცის როგორ მიაღწიოს წარმატებას სანაკრებო დონეზე. როდესაც ქვეყანას ვენეიბლზი ჰყავს, უცხოელ სპეციალისტთა მოწვევაზე არც უნდა ფიქრობდეს“ — განმარტა რობსონმა. მოგეხსენებათ, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის საშინაო საკითხთა აღმასრულებელმა შეფმა დევიდ დევისმა ამასწინათ განაცხადა, რომ ეროვნულ გუნდს შეიძლება პირველი უცხოელი მწვრთნელი ჩაუდგეს სათავეში. რამდენიმე დღის წინ თანამდებობიდან მოხსნილმა გლენ ჰოდლმა 1996 წელს სწორედ ტერი ვენეიბლზის სკამი დაიკავა.

**უნგრეთის** ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა ერთიანად გადააყენეს თანამდებობიდან. ბუნებრივია, გადაყენებულთა შორისაა პრეზიდენტი ატილა კოვაჩიც. ასეთი სასტიკი გადაწყვეტილება ბუდაპეშტში სამთავრობო გამოძიების შედეგად მიიღეს. ვერდიქტი ქვეყნის სპორტის მინისტრმა ტამას დეუჩმა გამოამზეურა. ფედერაციის ხელმძღვანელთა გადაყენების მიზეზი კანონთა დარღვევა და არალეგალური საქმიანობა ყოფილა.

**ბოსნიის** ეროვნული გუნდის მწვრთნელი ჯემალედინ მუსოვიჩი თანამდებობიდან გადადგა. მიზეზი ევრო 2000-ის შესარჩევ ციკლში წარუმატებლობა გახლავთ. გარდა ამისა, გასულ კვირაში ბოსნიელებმა მალტასთან წააგეს 1:2. ადგილობრივი გაზეთების ცნობით, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციაში ელოდნენ მუსოვიჩის გადადგომას და მის შესაძლო შემცვლელებზეც ლაპარაკობდნენ. მოსალოდნელია, რომ თანამდებობას ის ივიცა ოსიმი დაიკავებს, რომელმაც 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე იუგოსლავიის ნაკრები მეოთხედფინალამდე მიიყვანა. დღეს კი ავსტრიულ კლუბს, „შტურმს“ უდგას სათავეში. ბოსნიის ნაკრები ევრო 2000-ის შესარჩევის მეცხრე ჯგუფში ერთი გამარჯვებით, ერთი ფრითა და ორი წაგებით მეოთხე ადგილზეა. მას უახლოესი მატჩი 27 მარტს შოტლანდიასთან ელის. ბოსნიის ნაკრებს ორი ამხანაგური მატჩიც აქვს დაგეგმილი, ერთი აპრილში, ფიფას რჩეულ ვარსკვლავთა გუნდთან, ხოლო მეორე ნიგერიასთან, ოღონდ მისი თარიღი ჯერ ცნობილი არ გახლავთ.

**ფრანგი** ფეხბურთელი, „ლიონის“ ვეტერანი მეკარე, ბოლო დროს სათადარიგო ლუკ ბორელი ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ბორელი 33 წლისა გახლდათ. იგი პარიზიდან ლიონს მიემართებოდა, როდესაც მის მანქანას ცეცხლი მოედო. გოლკიპერი წარმოშობით მარსელიდან გახლდათ. „ლიონში“ იგი მეორე დივიზიონის „კაენიდან“ შარშან გადავიდა. ადრე კი „პარი სენ ჟერმენსა“ და „ტულონში“ გამოდიოდა. მისი დებიუტი 1986 წელს სწორედ ტულონში შედგა.

**შოტლანდიაში** დაბადებული ფეხბურთელი კოსტას კოსტა, რომელიც აქამდე ნიქოზიის „აპოელში“ გამოდიოდა, კვიპროსიდან ჰოლანდიაში, კერძოდ „უტრეხტში“ გადაბარგდა. კოსტამ, რომელიც „აპოელს“ ათი წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა, ახალ გუნდში პირველი შეხვედრა მომავალ სამშაბათს უნდა ჩაატაროს. 29 წლის მცველში „უტრეხტმა“ პირველ ეტაპზე 50 ათასი დოლარი გადაიხადა, ხოლო თუ მის დატოვებას გადაწყვეტს, კიდევ 130 ათასს დაამატებს.

**ინგლისური** „ნიუკასლ იუნაიტედი“ ზაგრების „კროაციისგან“ ხორვატიის ეროვნული გუნდის ნახევარმცველს სილვიო მარიჩს ყიდულობს. ინგლისელები ზაგრების კლუბს 5,8 მილიონ დოლარს გადაუხდიან. მოლაპარაკებები მარიჩის ტრანსფერის თაობაზე „კროაციას“ დირექტორატის წევრმა სუად რიზვანბეგოვიჩმა და „ნიუკასლ იუნაიტედის“ პრეზიდენტმა ფრედი შეფერდმა ზაგრების სასტუმროში გამართეს. ახლა ჯერ სამედიცინო შემოწმებაზეა. როგორც ფეხბურთელის მამამ განაცხადა, მისი ვაჟი ნიუკასლს მხოლოდ და მხოლოდ მას მერე გაემართება, რაც ეროვნული გუნდის შემადგენლობაში დანიის ნაკრების წინააღმდეგ ამხანაგურ შეხვედრაში ითამაშებს. ეს მატჩი ოთხშაბათს გაიმართება. რაც შეეხება ინგლისურ პრემიერლიგას, ორი გუნდის „ტოტენჰემ ჰოთსპურისა“ და „ბლექბერნ როვერსის“ გარიგებას, იგი 6,54 მილიონ დოლარს ითვლის. ამ თანხის სანაცვლოდ ლონდონელებმა ბლექბერნელთაგან ნახევარმცველი ტიმ შერვუდი იყიდეს. შერვუდი 30 წლისაა. იგი „ბლექბერნ როვერსში“ რვა წლის განმავლობაში გამოდიოდა და გუნდის კაპიტანიც იყო.

**არგენტინელი** ფეხბურთელები გასტონ ფერნანდო პესუტი და კარლოს მაქსიმილიანო ესტევესი ლივერპულში ორდღიანი გასინჯვის შემდეგ შინ დაბრუნდნენ. „რასინგის“ მოთამაშეებს ინგლისის ერთ-ერთ ყველაზე სახელოვან კლუბში 10 დღე მაინც უნდა დაეყოთ, მაგრამ, როგორც „ლივერპულის“ პრესატაშემ, იან კოტონმა განაცხადა, ფეხბურთელები უკან გააბრუნეს, რადგან მოლაპარაკებები წარუმატებლად დასრულდა. უფრო დაწვრილებით არაფერი თქმულა.

**ჰოლანდიური** „ვიტესი“ გერმანულ „დორტმუნდთან“ ამხანაგურ შეხვედრას გეგმავდა, მაგრამ ადგილობრივ ხულიგანთა შიშით იგი ჩაიშალა. „ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ჩვენი ხულიგნების შემყურე პოლიციამ უსაფრთხოების გარანტია ვერ მოგვცა“ — განაცხადა „უტრეხტის“ პრესატაშემ. გასულ კვირაში ჰოლანდიური „ფეიენოორდის“ ქომაგებმა გერმანულ „ლევერკუზენთან“ ამხანაგური შეხვედრის დროს დიდი აყალმაყალი მოაწყეს, რის გამოც დაისაჯნენ, მომდევნო 18 თვის განმავლობაში გუნდი მათ საზღვარგარეთ არ წაიყოლებს.

## საჭირბოროტო

— *გაზაფხული მოდის.*
— ჰო, ახლოვდება.
— *გახურდება დიდი ჯახები.*
— მოსახდენი კი მაინც მოხდა.
— *რა?*
— ის, რასაც ველოდით.
— *ამისთანა რა იყო?*
— გიგზი ლაიმტვრა.
— *მაგის გამო არ უნდა ინერვიულო. გიგზი ხომ ყოველთვის დამტვრეულია.*
— მართალი ხარ. მაგრამ ჩემი გამოთვლებით, აპრილში უნდა დამტვრეულიყო და თანაც, არცთუ მძიმედ. აქ კი მყესი გაუწყდა და თანაც, თებერვალში.
— *აპრილში რატომ უნდა დამტვრეულიყო?*
— ახლავე აგიხსნი. შარშანწინ ხომ დაიმტვრა ადრეულ შემოდგომაზე?
— *[illegible]*
— მერე მოჯობინდა და დეკემბერში ისევ დაიმტვრა. მერე ისევ მომჯობინდა და „პორტოს“ ბლდვირი აადინა კანტონასთან ერთად. მერე კი ისევ დაიმტვრა.
— *აქედან რა გამოდის?*
— ჯერ მისმინე. ახლა შარშან, შარშან გიგზი სეზონის დასაწყისშივე მიიმტვრა, მაგრამ მერე მომჯობინდა და თებერვლამდე ფეხზე იდგა. მერე დაიმტვრა და აღარც გამოჩენილა. „მანჩესტერს“ რაც მოუვიდა, კარგად იცი.
— *და წელს რატომ უნდა დამტვრეულიყო აპრილში?*
— დამტვრევის აუცილებლად დაიმტვრეოდა. გიგზის ვარსკვლაობა ხომ იმაზეც დიდადაა დაფუძნებული, რომ ძირითადად დამტვრეულია და არ თამაშობს.
— *ასეთი რამ არ გამიგონია.*
— როგორ არა. „მანჩესტერი“ რომ აგებს, თითქმის ყოველთვის შეგიძლია თქვა, გიგზი [illegible]ო და იმიტომ წააგებსო.
— *გიგზი რა არის ამისთანა, რომ წაგება გაამართლო?*
— ოო, გიგზი ძალიან მაგარია, ოღონდ ვერ ასწრებს.
— *რას ვერ ასწრებს?*
— თამაშს.
— *თუ მაგარი ხარ, თამაშს როგორ ვერ მოასწრებ?*
— აი, უყურე: სექტემბერში დაიმტვრა ხომ?
— *დიახ.*
— ნოემბრის შუა რიცხვებამდე იმკურნალა. მერე დააყენებენ ძირითადში და ერთი კვირაც ხომ კარგად ფორმაში შესვლას უნდა?
— *როგორ კარგად?*
— გიგზურად.
— *გასაგებია.*
— მერე შევა ამ ფორმაში და დეკემბრის მიწურულს ახალი დამტვრევის დროც მოდის. წარმოიდგინე ეს ყველაფერი ხელახლა და სეზონიც დამთავრდება. ასე რომ, ვერ ასწრებს.
— *მაინც ვერ გავიგე, აპრილში რატომ უნდა დამტვრეულიყო.*
— მე ჭადრაკული პრინციპი ავირჩიე. წლევანდელი დამტვრევები ზუსტად შარშანდელს ხომ არ დაემსგავსებოდა? უფრო შარშანწინდელის იმედი მქონდა, თუმცა, იმაში, რომ აუცილებლად დაიმტვრეოდა, დარწმუნებული ვიყავი. ვიფიქრე, შარშანწინ თუ ითამაშა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალი და შარშან თუ გამოტოვა, წელს უნდა ეთამაშა.
— *საინტერესოა.*
— ამიტომ, „დერბისთან“ „მანჩესტერის“ თამაშს მშვიდად ველოდი.
— *„დერბი“ რა შუაშია?*
— შარშან ამ დროს „დერბისთან“ დაიმტვრა და მეოთხედფინალი გამოტოვა.
— *მერე?*
— მერე წელსაც დაიმტვრა და წელსაც გამოტოვებს.
— *უცნაურია.*
— ავი საქმეა. ის ქალი შეულოცავდა.
— *ვინ ქალი?*
— ჰოდლის ჯადოქარი ქალი.
— *და რატომ?*
— უელსელი რატომ არისო, ინგლისს არ ადგებაო.
— *და გაზა?*
— გაზა რაღა შუაშია?
— *გაზაც შელოცვილია?*
— ეჰ, გამოლოცვა ველარ მოვახერხეთ.

# სამხრეთ ამერიკა

## ტეიშეირა ლოგიკის მომხრეა



რიკარდო ტეიშეირა

ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის (CBF) თავკაცი რიკარდო ტეიშეირა ციურიხს ეწვია და ასეთი რამ თქვა — ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისი ხელს არ შეუშლის 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრაზილიაში გამართვასო.

— ჩვენთან კრიზისი მართლაც მძვინვარებს, მაგრამ ჩვენი კანდიდატურის მოხსნას მაინც არ ვაპირებთ, რადგან ყოველ ბრაზილიელს სურს, რომ ეს ტურნირი ჩვენთან ჩატარდეს და დარწმუნებული ვარ, ამის მისაღწევად ენერგიას არავინ დაიშურებს — ამბობს პრეზიდენტი.

სხვათა შორის, ტეიშეირა ფიფას იმ კომიტეტის წევრია, რომელმაც მომავალი წლის მარტში სამყაროს 2006 წლის მსოფლიო პირველობის ჩატარების ადგილი უნდა ამცნოს. მისი თქმით, ბრაზილიის დრო მოვიდა, აქ ხომ ეს ტურნირი აგერ უკვე 49 წელია, არ გამართულა.

— 2006-ში 56 წელი გავა მას შემდეგ, რაც ჩემპიონატისთვის არ გვიმასპინძლია. ინგლისში 1966 წელს გაიმართა „მუნდიალი“, გერმანიაში — 1974-ში. ამასთან ერთად ბრაზილია მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონია, ყველაზე ტიტულოვანი გუნდი ჰყავს და, ვგონებ, მოვიდა დრო, საგანგებოდ დაგვაფასონ — აღნიშნა ტეიშეირამ ციურიხში მდებარე ფიფას შტაბ-ბინაში გამოსვლისას.

მიუხედავად ასეთი ოპტიმიზმისა, ტეიშეირა არც იმას გამორიცხავს, რომ ტურნირი ჯერ აფრიკაში, კერძოდ, სამხრეთ აფრიკაში გაიმართოს და მხოლოდ მერე, 2010 წელს ჩატარდეს ბრაზილიაში.

— ლოგიკას არ უნდა გადავუხვიოთ. მსოფლიოს ჩემპიონატს ჯერ აზიამ უნდა უმასპინძლოს, მერე აფრიკამ, შემდგომ სამხრეთ ამერიკამ, ბოლოს კონკაკაფმა და მხოლოდ ამის მერე დაუბრუნდეს ევროპის კონტინენტს. მართალია, ამ ვარიანტის ხორცშესხმის შემთხვევაში კიდევ ოთხი წელი მოგვიწევს ცდა, მაგრამ ამაზეც ყაბულს ვართ.

ერთი სიტყვით, ტეიშეირა სარეზერვო ვარიანტს უკვე დღეს განიხილავს. თუ 2006 წელს ბრაზილიის კანდიდატურას უარყოფენ, იგი ამ გეგმას აამუშავებს, ანუ მხარს დაუჭერს სამხრეთ აფრიკას და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყებს ტურნირის მასპინძლობისთვის ბრძოლას, რაშიც, ალბათ, აფრიკული დელეგაციაც დიდად შეუწყობს ხელს.

## ბრაზილია

IV ტური

### რიო — სან პაულუს ტურნირი

I ჯგუფი

სანტოსი 4:1 ფლუმინენსე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანტოსი | 4 | 3 | 1 | 0 | 9:2 | 10 |
| ფლუმინენსე | 4 | 2 | 0 | 2 | 9:8 | 6 |
| ვასკუ და გამა | 3 | 1 | 1 | 1 | 7:5 | 4 |
| პალმეირასი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:12 | 0 |

II ჯგუფი

ფლამენგო 0:1 სან პაულუ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან პაულუ | 4 | 4 | 0 | 0 | 6:1 | 12 |
| ბოტაფოგო | 3 | 1 | 1 | 1 | 10:7 | 4 |
| ფლამენგო | 4 | 1 | 1 | 2 | 7:7 | 4 |
| კორინთიანსი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:10 | 0 |

ჯგუფში ორი საუკეთესო გუნდი ნახევარფინალურ ეტაპზე გადის

### პაულისტას (სან პაულუს შტატი) ჩემპიონატი

I ჯგუფი

პორტუგეზა 3:2 რიო ბრანკო

იგუანო 1:1 ბარბარენსე

სან ჟოზე 1:1 ლიმეირა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგეზა | 4 | 4 | 0 | 0 | 9:3 | 12 |
| ბარბარენსე | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| რიო ბრანკო | 4 | 2 | 0 | 2 | 7:7 | 6 |
| ლიმეირა | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| იტუანო | 4 | 0 | 2 | 2 | 2:5 | 2 |
| სან ჟოზე | 4 | 0 | 2 | 2 | 2:5 | 2 |

II ჯგუფი

სანტისტა 0:5 გუარანი

მატონენსე 4:3 არაკატუბა

მოგი მირიმი 2:2 უნიაო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მატონენსე | 4 | 3 | 1 | 0 | 10:7 | 10 |
| გუარანი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:3 | 7 |
| არაკატუბა | 4 | 1 | 2 | 1 | 9:8 | 5 |
| უნიაო | 4 | 1 | 2 | 1 | 8:8 | 5 |
| მოგი მირიმი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:6 | 5 |
| სანტისტა | 4 | 0 | 0 | 4 | 4:13 | 0 |

## ფულის საკეთებელი კონცერნი



ტოსტაო

ედუარდო გონკალვეშ დე ანდრადე, იგივე ტოსტაო, 1970 წლის ბრაზილიის ლეგენდარული ნაკრების ლეგენდარული წევრი. იგი ამჟამად 52 წლისაა და კვლავაც მშობლიური ფეხბურთის ავ-კარგია მისთვის უპირველესი. იგი ერთ-ერთი მრავალთაგანია, ვინც ბრაზილიურ ფეხბურთს მუდამ აკრიტიკებს, რათა უკეთესი გახადოს.

შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე მან თანამემამულეებს წარუმატებელი გამოსვლა უწინასწარმეტყველა — სათითაოდ მაგარი ბიჭები არიან, მთლიანობაში გუნდი კი ნაღდად ვერ არის სათანადო სიმაღლეზეო.

ოთხშაბათს კი ტოსტაომ „ჟურნალ დუ ბრაზილის“ საშუალებით ეროვნულ გუნდს და მის ახალგაზრდა თავკაც ვანდერლეი ლუქსემბურგოს კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხა თავს, ნაკრებს ფულის საკეთებლად გამზადებული კონცერნი უწოდა.

თავის სვეტში ტოსტაო წერს:

— აღმაშფოთებელია, აბა რა, როდესაც გუნდი ყველაზე დიდ ყურადღებას ბიზნესს უთმობს და არა სპორტულ წარმატებებს. ამაში უპირველესად ბრაზილიელთა მოსამზადებელ ციკლს, ანუ უსაშველოდ ბევრ ამხანაგურ მატჩს ვგულისხმობ. არსებული ცნობებით, წლეულს მათი რიცხვი 17-ს შეადგენს. ლუქსემბურგოს ვეთანხმები, რომ ჰოლანდიის ნაკრების დონის გუნდებთან წავარჯიშება (ბრაზილიელთა მწვრთნელს „ნარინჯისფერებთან“ ორი შეხვედრა აქვს დაგეგმილი) მეტად სასარგებლოა, მაგრამ რა საჭიროა იაპონიასთან, ავსტრალიასთან ორჯერ და ტუნისთან ამხანაგურად თამაში, ჩემთვის დღემდე გაუგებარია.

ტოსტაოს აზრით, რომელიც თავად შეიქმნა ფიზიკური ნაკლის მსხვერპლი (თვალი სტკიოდა და დროზე ადრე დაასრულა ფეხბურთელის კარიერა), გადატვირთული კალენდარი სხვა უარყოფით შედეგებთან ერთად მოთამაშეთა გამოფიტვასაც გამოიწვევს.

— ბრაზილიელი ფეხბურთელები წლის განმავლობაში მშობლიურ თუ ევროპულ კლუბებში ძალიან ბევრს თამაშობენ. წარმოიდგინეთ, როგორ ფიზიკურ კონდიციაში იქნებიან ისინი, როცა ამ მატჩებს კიდევ რამდენიმე, თანაც არაფრისმთქმელი შეხვედრა დაემატება. ამ წამოწყებას მათი კლუბების მფლობელებიც დიდ წინააღმდეგობას გაუწევენ და საბოლოოდ აღმოჩნდება — აღნიშნულ გეგმაში ბრაზილიის 20 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრები თუ მიიღებს მონაწილეობას. რაც ჯამში აბსურდად მიმაჩნია.

ბოლოს ტოსტაომ აღნიშნა, ზაგალოს ადგილი კი დაიკავა ლუქსემბურგომ, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა, ჩვენი სათაყვანებელი ნაკრები კვლავ მცდარ გზას ადგას და მისი ბოლო კატასტროფული იქნებაო.

მართალიც არის. ლუქსემბურგოს შედგენილი კალენდარი გუნდს კარგს არაფერს მოუტანს. თუნდაც მისი ხელმძღვანელობით გამართული სამი შეხვედრა გავიხსენოთ. იუგოსლავიელებთან თამაში უდავოდ სასარგებლო იყო, აი, უსუსურ ეკვადორთან და რუსეთის მეორე ნაკრებთან შეხვედრების მიზანი კი სრულიად გაუგებარია.

მომავალში მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონთა თავკაცს ავსტრალიასთან, იაპონიასთან, ტუნისთან, ახალ ზელანდიასთან თამაში გაუნზრახავს. რას მოუტანს ეს ბრაზილიელებს, ძნელი სათქმელია. ალბათ, არაფერ კარგს, რადგან...

ბოლო წლებში, რაც ნაკრებს ზაგალო წვრთნიდა, ბრაზილიელებმა ამხანაგურად ითამაშეს სლოვაკეთის, ისლანდიის, ჰონდურასის, უელსის, ლიტვის, ბოსნიის ნაკრებებთან. საფრანგეთი 98-ის წინ, ბოლო გავარჯიშება კი მათ ანდორის ეროვნულ გუნდთან ჰქონდათ, ქვეყნისა, რომლის მოსახლეობის რაოდენობა „სტად დე ფრანსის“ (სადაც ფინალი გაიმართა) ტევადობაზე ნაკლებია.

შედეგი — ვარსკვლავთა გადაღლილი კრებული, რომელსაც ურთიერთგაგება საერთოდ არ გააჩნდა და ფინალში უთავდამსხმელო გუნდთან 0:3 წააგო.

**დავით კოზირიძე**

### ამხანაგური მატჩი | 10 თებერვალი. ჰოლანდია - პორტუგალია

პორტუგალიის ნაკრები ჰოლანდიელების წინააღმდეგ გარკვეულწილად სახეცვლილი წარდგება. გუნდის შემადგენლობაში ორი ახალწვეულია — ლისაბონის „სპორტინგის“ მეკარე ტიაგო ფერეირა და ქვეყნის ყველაზე ტიტულიანი კლუბის „ბენფიკას“ ნახეარმცველი უგო ლეალი. სხვათა შორის, იგი „ბენფიკას“ ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია ამ სეზონში.

პორტუგალიის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ტიაგო ფერეირა (სპორტინგი), ვიტორ ბაია (ბარსელონა, ესპანეთი); მცველები — კარლოს ლიტოში (ბოავიშტა), კარლოს სეკრეტარიო, პაულინიო სანტუში (პორტუ), დიმაშ ტეიშეირა (ფენერბახჩე, თურქეთი), ფერნანდო კოუტუ (ლაციო, იტალია), პაულო მადეირა (ბენფია), ბეტო სევერო (სპორტინგი); ნახევარმცველები — ლუიშ ფიგუ (ბარსელონა, ესპანეთი), რუი კოშტა (ფიორენტინა, იტალია), სერჟიო კონსეისაო (ლაციო, იტალია), პაულო ბენტო (ოვიედო, ესპანეთი), უგო ლეალი (ბენფიკა); თავდამსხმელები — პედრო პაულეტა (დეპორტივო, ესპანეთი), რიკარდო სა პინტუ (სოსიედადი, ესპანეთი), ჟოაო პინტუ (ბენფიკა), ნუნო გომეში (ბენფიკა).

### ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი | III ჯგუფი. თურქეთი - მოლდოვა

გუშინ თურქეთის ნაკრების მწვრთნელმა მუსტაფა დენიზლიმ იმ 24 ფეხბურთელის ვინაობა დაასახელა, რომელთაგანაც საბოლოოდ ჩამოაყალიბებს ნაკრებს. დენიზლის თქმით, იგი გუნდში იმ მოთამაშეებს აიყვანს, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ყველაზე უკეთ იქნებან მომზადებული.

თურქეთის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — რუსთუ რეკბერი (ფენერბახჩე), ენგინ იპეკოღლუ (დარდანელსპორი); მცველები — ოლფეი ოზალანი (ბეშიქთაში), ჰაქან უნსალი, ფათიხ აიქელი (გალათასარაი), მერტ ქორქმაზი (ქოჩაელსპორი), ოგენ ტემიზკანოღლუ (ტრაბზონსპორი), მურატ დუმანი (ვანსპორი); ნახევარმცველები — ტაიფურ ჰავუჩუ (ბეშიქთაში), ოქან ბერუქი, თუგაი ქერიმოღლუ, არიფ ერდემი (გალათასარაი), ტაიფუნ ქორქეთი, სერგენ იალჩინი (ფენერბახჩე), აბდულა არქანი (ტრაბზონსპორი), იაგუზ ჩეტინი (ადანასპორი), ტარიკ დასგუნი (ანკარაგიუჯიუ), რამაზან ტუნკი (გაზიანთეპსპორი), იესუფ სიმსეკი (დენიზლისპორი); თავდამსხმელები — ჰაქან შუქური (გალათასარაი), ოქთაი დერელიოღლუ (ბეშიქთაში), ჰამი მანდირალი (შალკე, გერმანია), აიჰან აქმანი (ბეშიქთაში), ფათიხ ტეკე (ტრაბზონსპორი).

### ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი | VIII ჯგუფი. მალტა - იუგოსლავია

ნოემბერში ტურინის „იუვენტუსის“ იუგოსლაველმა მცველმა ზორან მირკოვიჩმა, რომელიც ნაკრებში არ მიიწვიეს და ამის გამო მწვრთნელობაზე გამწყრალი იყო, განაცხადა, ქვეყნის პირველ გუნდში აღარ ვითამაშებო. მან რამდენიმე დღის წინ აზრი შეიცვალა. იგი იუგოსლავიის ნაკრების თავკაცის მილან ზივადინოვიჩის რჩეულთა შორის მოხვდა.

მწვრთნელმა გუნდში ორი ცნობილი ფეხბურთელი არ გამოიძახა. იაპონიაში გადაბარგებული დრაგან სტოიკოვიჩი ზივადინოვიჩმა ნაკრებისთვის გაბერებულად ჩათვალა, სამშობლოში დაბრუნებული დეიან სავიჩევიჩი კი მოუმზადებლად. ზივადინოვიჩმა ორ დებიუტანტსაც უხმო — ბელგრადის „პარტიზანის“ მეკარე ნიკოლა დამიანაცს და ნახევარმცველ ჯორჯე ტომიჩს იუგოსლავიის ეროვნულ გუნდში ჯერჯერობით არ უთამაშიათ.

იუგოსლავიის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ივიცა კრალი (პორტუ, პორტუგალია), ნიკოლა დამიანიჩი (პარტიზანი); მცველები — სლობოდან კომლიენოვიჩი (დუისბურგი, გერმანია), ზორან მირკოვიჩი (იუვენტუსი, იტალია), გორან ჯოროვიჩი (სელტა, ესპანეთი), მიროსლავ ჯუკიჩი (ვალენსია, ესპანეთი), ნიშა საველიჩი (ბორდო, საფრანგეთი), სინიშა მიხაილოვიჩი (ლაციო, იტალია), ნენად საკიჩი (სამპდორია, იტალია); ნახევარმცველები — სლავიშა იოკანოვიჩი (ტენერიფე, ესპანეთი), იოვან სტანკოვიჩი (მალიორკა, ესპანეთი), დეიან სტანკოვიჩი (ლაციო, იტალია), ნენად გროზდიჩი (ობილიჩი), ჯორჯე ტომიჩი (პარტიზანი), ზორან ნიეგუსი (ატლეტიკო, ესპანეთი), ალბერტ ნადი (ოვიედო, ესპანეთი); თავდამსხმელები — პრედრაგ მიატოვიჩი (რეალი, ესპანეთი), სავო მილოშევიჩი (სარაგოსა, ესპანეთი), დარკო კოვაჩევიჩი (სოსიედადი, ესპანეთი).

### აფრიკის თასი | 27 თებერვალი. ს.აფრიკა - გაბონი

თებერვლის მიწურულს აფრიკის სამხრეთის ქვეყნების თასის გათამაშება იწყება, რომლებიც უფრო „კოსაფა ქესლის“ სახელითაა ცნობილი, შავი კონტინენტის სხვა ქვეყნებთან ერთად გათამაშებაში სამხრეთ აფრიკის ნაკრებიც მონაწილეობს.

„ბაფანა, ბაფანას“ მწვრთნელმა ტროტ მოლოტომ 20 თებერვალს ბოტსვანასთან, ხოლო 27-ში გაბონთან მატჩებისთვის მოსამზადებლად შეკრებაზე 31 მოთამაშე იხმო, თუმცა ყველას განუცხადა, კონკრეტულად იმ შეხვედრებისთვის გუნდში მხოლოდ ოცი ფეხბურთელი დარჩებაო.

ტროტ მოლოტის რჩეულთა შორის მოხვდა ვეტერანი ჯონ მოშოუ, რომელსაც ნაკრებში მატჩების სარეკორდო რაოდენობა — 52 ჩაუტარებია, 1996 წელს აფრიკის თასი მოუგია, 1998-ში კი ამავე გათამაშების ვერცხლის პრიზიორი ყოფილა.

სამხრეთ აფრიკის შემადგენლობა: მეკარეები — ბრაიან ბალუი (კაიზერ ჩიფსი), სიგონ გოპანე (ბლოეფონტაინ სელტიკი), ჯონ ტალე (მამელოდი სანდაუნსი), ჰანს ვონკი (ჰერენვენი, ჰოლანდია); მცველები — მეტიუ ბუთი (ქეიფთაუნ სფურსი), მარკ ფიში (ბოლტონი, ინგლისი), პიერ ისა (მარსელი, საფრანგეთი), მაიკლ მანზინი, ტემბა მნგუნი (მამელოდი სანდაუნსი), ფაბიენ მაკართი (ბლოეფონტაინ სელტიკი), აარონ მოკოენა (აიაქსი, ჰოლანდია), ლუკას რადებე (ლიდს იუნაიტედი, ინგლისი); ნახევარმცველები — დერლონ ბაკლი (ბოხუმი, გერმანია), კუინტონ ფორტუნი (ატლეტიკო, ესპანეთი), ჰენდრიკ ვულვა (ბლოეფონტაინ სელტიკი), სტივ ლეკოელია, ტაბო მნგომენი, ჯონ მოეტი (ორლანდო პაირატსი), ჟოელ მასილელა, ჯეტრო მოლალა (მამელოდი სანდაუნსი), ელმან მკალელმე (ანკარაგიუჯიუ, თურქეთი), მაკდონალდ მუკანსი (პარალიმნი, კვიპაროსი), ალფრედ ფირი (გენჩლერბირლიგი, თურქეთი), გოდფრეი სანულა (იომო კოსმოსი); თავდამსხმელები — შონ ბარტლეტი (ციურიხი, შვეიცარია), კერინ ჯორდანი (მენინგ რეინჯერსი), ფილ მასინგა (ბარი, იტალია), ბენედიქტ მაკართი (აიაქსი, ჰოლანდია), პოლენ ნდლანია, სიუაბონგა ნომვეტი (კაიზერ ჩიფსი), სიბურისო ზუმა (ორლანდო პაირატსი).

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

# არმიელებს მოგება ეღირსათ

**5 თებერვალი თბილისი ვერის ბაღი — 13 ტური**

**შევარდენი 89:110 ასკ**

I ტაიმი 47:53

შევარდენი: კაზანჯიანი (23), განიძე (4), მაჭავარიანი (16), ხობელია (17), ლვინეფაძე (14); მესხი (6), ოქრიაშვილი (7)

ასკ: ფსუტური (14), აკოლაშვილი (16), ჩხაიძე (4), პაპასკირი (25), ნუცუბიძე (15); გელაშვილი (4), ნათაძე (19), კიკაბიძე (7), ჭყონია (6)

მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, დავით ბერეკაშვილი

დელეგატი: ნოდარ დარახველიძე

მოგეხსენებათ, არმიის სპორტული კლუბი წლევანდელ გათამაშებაში მეორე წრიდან ჩაება და ჩემპიონატში მხოლოდ მეოთხე შეხვედრას ატარებდა. პირველი სამი მატჩი ასკ-მ ძლიერ მეტოქეებთან ჩაატარა და დამარცხდა. „შევარდენთან“ სათამაშოდ კი მართლაც საბრძოლო შემართებით გამოვიდა მოედანზე, მშვენივრად ააწყო თამაში და პირველი ორი ქულაც მიითვალა. სანამ გუნდები მოთელვას გადიოდნენ, დიქტორმა ასკ-ის კაპიტან გიორგი ჩხაიძეს ვაჟის შეძენა მიულოცა. ამან დარბაზში მსხდომი კალათბურთელის გულშემატკივრები გაახალისა.

ეს გუნდები ზემოთ ნახსენები მიზეზის გამო წლეულს პირველად ხვდებოდნენ ერთმანეთს. „შევარდენის“ ორი წამყვანი კალათბურთელი ბექა ნუცუბიძე და დავით აკოლაშვილი სწორედ ასკ-ში გადაბარგდა და ბუნებრივია, საინტერესო იყო, როგორ ითამაშებდნენ ისინი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ.

მატჩი არმიელების უპირატესობით დაიწყო, ისინი სწრაფად და გააზრებულად მოძრაობდნენ. „შევარდენმა“ მეტოქის ასეთ ტაქტიკას ზონური დაცვა დაუპირისპირა, თუმცა ასკ-ს სროლები წაუვიდა და დაწინაურდა. შეხვედრის დებიუტში კარგად მოქმედებდა ზურაბ პაპასკირი. მან ორჯერ დალაშქრა მეტოქის კალათი, რასაც ჩემპიონატის ვეტერანმა მალხაზ ლვინეფაძემ უპასუხა.

„შევარდენი“ ლიდერებს უბრძოლველად არაფერს უთმობს და ცხადია, არმიელებთან თავიდანვე დამარცხებასაც ვერ შეეგუებოდა. პირველი ტაიმის მე-7 წუთზე შევარდნები მაჭავარიანისა და კაზანჯიანის წყალობით დაწინაურდნენ. არმიელებმა მთელ მოედანზე პრესინგს მიმართეს, რამაც მათ შედეგი მოუტანა და ორწუთნახევარში თერთმეტი უპასუხო ქულა მოაგროვეს. „შევარდენი“ მატჩში გარდატეხის შეტანას ცდილობდა და პირველი ნახევრის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე მოედანზე ისეთი ბრძოლა გაჩაღდა, რომ ერთ-ერთი არმიელი მსაჯთა მაგიდას დაეჯახა და ტაბლოს სამართავი მოწყობილობა დააზიანა. „შევარდენმა“ მალხაზ ლვინეფაძის ძალისხმევით ათქულიანი სხვაობა სამამდე შეამცირა. ეს მოთამაშე პირველ ნახევარში საუკეთესო იყო თავისი გუნდის შემადგენლობაში. ტაიმს კი წერტილი პაპასკირმა დაუსვა შორეული სამქულიანით. ექვსი ქულით წინ ასკ-ა.

მეორე ტაიმი არმიელებმა მართლაც კარგად დაიწყეს. როგორც პირველ ნახევარში, მეტოქეს პრესინგი შესთავაზეს და მე-5 წუთისთვის აკოლაშვილის სამქულიანის შემდეგ 10 ქულით დაწინაურდნენ. მეოთხე ჯარიმა მიიღო „შევარდენის“ ცენტრმა ლვინეფაძემ, რამაც ასკ-ს ფარქვეშ თამაში გაუადვილა. უპირატესობას მთლიანად არმიელები დაეუფლნენ, მე-12 წუთზე მათ 10 ქულით ჩამოიტოვეს მოწინააღმდეგე. აქვე მეხუთედ დაჯარიმდა ლვინეფაძე და მოედანი დროზე ადრე დატოვა. ეს იყო და ეს. მატჩის სადავეებს მთლიანად ასკ დაეუფლა. გუნდს ყველაფერი კარგად გამოსდიოდა. მეტოქეები დაცვაში აღარ თამაშობდნენ, შემდეგ ტაბლოც გაითიშა და ანგარიშს მსაჯთა მაგიდიდან თუ გვამცნობდნენ ხოლმე. ბოლო ხუთი წუთი უინტერესოდ წარიმართა, გუნდებმა რამდენიმე ორქულიანი შეტევა გაცვალეს. არმიელებმა დიდი ანგარიშით, ღირსეულად გაიმარჯვეს.

**ზურაბ გონაშვილი**

# ნაცნობი სურათი: მატჩი უშუქობამ შეიწირა

**5 თებერვალი თბილისი ვერის ბაღი — 13 ტური**

**მაკაბი — სტუ**

გუშინდელი მაკაბი — სტუ-ს შეხვედრა დაწყებით კი დაიწყო (მეტოქეებმა პირველი ნახევარი ითამაშეს), მაგრამ მეორე ტაიმს გაგრძელება არ ეწერა... მიზეზი კი ბოლო წლებში შემოჩვეული უშუქობა გახლდათ. მართალია, ფედერაციამ მეორე წრის დასაწყისში დაგვაიმედა, ამ პრობლემასაც და გათბობის საკითხსაც მოვაგვარებთო (თავიდან მართლაც ასე იყო, აქამდე მაყურებელს გაჩირაღდნებული დარბაზი სჭირდა თვალს და სიცივეც არ აწუხებდა...), მაგრამ გუშინ გათბობა საწვავის უქონლობის გამო სულ არ ჩართულა, რასაც ელექტროენერგიის გამორთვაც დაემატა. ასე რომ, ფედერაციამ მესამე მატჩის სახილველად მოსულთ მოუბოდიშა და შეხვედრის დღეისთვის (15 საათსა და 30 წუთზე) გადატანაც ამცნო.

არადა, გულდასაწყვეტია. პირველი ტაიმი მოლოდინისამებრ დაძაბულად და მძაფრად წარიმართა. სირიიდან დაბრუნებული „მაკაბი“ (ვაჟა მხეიძესთან ერთად მოთამაშე ანდღულაძეც შემოუერთდა) სტუდენტებს არაფერს უთმობდა და მაყურებელიც ერთიან თვალსასეირო სანახაობის პოწმე გახდა. ამაზე პირველი ნახევრის საბოლოო ანგარიშიც მეტყველებს 35:37. სტუ მინიმალური სხვაობით იგებდა...

ძალების აღსადგენად შესვენებაზე გასული მოთამაშეები მეორე ტაიმის მოლოდინში იყვნენ, რაც დიდ ხანს გაგრძელდა. შუქი ხან აინთებოდა, ხანაც ქრებოდა. კალათბურთელები, ფედერაციის [illegible]ერები და მაყურებლებიც გაღიზიანდნენ. ბოლოს მოედნის ცალ მხარეს ხუთი ნათურა განათდა... ამის შეხედვაზე სპორტსმენებმა მატჩის განახლების სურვილი გამოთქვეს. ვიღაცამ კიდეც იხუმრა, ცალ ფარში ვითამაშოთო... მაგრამ მატჩის დელეგატმა სანახევროდ ჩაბნელებულ დარბაზში შეხვედრის გახახლება იუკადრისა.

**მამუკა ტულუში**



აზოტი — სდასუ. სდასუელი შოთა მაჭარაძე რამაზ გოგობერიშვილს (13) დაუსხლტა

ფოტოები



აზოტი — სდასუ. რუსთაველი არჩილ ქღენტი (ბურთით) მატჩში საუკეთესო იყო

# აზოტს არავისი ეუხერხულება

**5 თებერვალი თბილისი ვერის ბაღი — 13 ტური**

**აზოტი 90:69 სდასუ**

I ტაიმი 47:34

აზოტი: ქღენტი (26), გაბისონია (3), გოგობერიშვილი (12), ბაბიაშვილი (20), ჯაფარიძე (25); ბერუაშვილი (4), კოჭლამაზაშვილი, ჯიმშელეიშვილი

სდასუ: თორთლაძე (14), უძილაური (22), გიგაური (8), გიგაშვილი (2), მაჭარაძე (4); ხარაძე (2), ორჯონიკიძე (2), არჩვაძე (1), ლ. აბულაძე, ქევხიშვილი (4)

მსაჯები: როლანდ ხომერიკი, ზაზა მაჩალაძე

დელეგატი: მურმან ქურიძე

„აზოტი“ კვლავაც ლიდერია, რუსთაველები ჯერაც დაუმარცხებელნი არიან. სდასუ არ აღმოჩნდა ის გუნდი, რომელიც ვიცე-ჩემპიონებს წინ აღუდგებოდა და წარმატებულ სვლას შეუჩერებდა. „აზოტმა“ ყველა კომპონენტში დაჩაგრა ეგრეთ წოდებული უხერხული მეტოქე, რაც, ბუნებრივია, რუსთაველთა უფრო მაღალ სათამაშო კლასსა და ორგანიზებულობაზე მეტყველებს.

გულშემატკივართა მოლოდინი, საინტერესო დაპირისპირებას იხილავდნენ, მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა. თავიდან თითქოს თანაბარი თამაში გაჩაღდა, მაგრამ სტუდენტებს აშკარად ძალამ უმტყუნათ, უფრო კი მათ ლიდერებს, თორთლაძე-უძილაურს, რომელთა თამაშზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სდასუელთა ბედი. აქედან გამომდინარე, სტუდენტთა ტენდენცია იკვეთება: თუ ზემოხსნებულ დუეტს თამაში გამოსდის, ჩათვალეთ, რომ სდასუ-ს ერთი ნაბიჯილა რჩება გამარჯვებამდე თუ არადა... ერთიცაა, ისე გაირჯებიან თორთლაძეც და უძილაურიც, რის საშუალებასაც მათ მოწინააღმდეგე გუნდის მცველები მისცემენ. ამ მხრივ ქღენტი-გაბისონიას ტანდემმა დიახაც იყოჩაღა. დაცვაში შეთანხმებული ქმედებით მომხვდურ უკანახაზელებს სამოქმედო სივრცე შეუზღუდეს და შეტევაშიც გვარიანად გააწვალეს. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ორივე გუნდიდან ყველაზე შედეგიანი რუსთაველთა ნომინალური გამთამაშებელი არჩილ ქღენტი იყო. ჩიკომ მართლაც რომ ჩვეულ, მაღალ დონეზე წარმართა შეხვედრა, თავისიანთა შეტევებს გაუძღვა და დამუშავებული კომბინაციური თამაშით გულმოდგინედ ავიწროვებდა მეტოქეს.

შეხვედრა ფაქტობრივად მაშინ დამთავრდა, როცა მეორე ტაიმის შუაგულში უძილაურმა ხუთი პერსონალურით მოედანი დატოვა, მისგან „დაობლებულმა“ სტუდენტებმა კი სულმთლად დაკარგეს წარმატების იმედი, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისათვის მხოლოდ თერთმეტ ქულას აგებდნენ. ასეთი ჩამრჩენა კალათბურთში არცთუ გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, მაგრამ საკუთარი ძალების რწმენა აუცილებელი კომპონენტია, რაც გუშინ სდასუელებს არ აღმოაჩნდათ.

აი, დასაწყისი კი მართლაც ღირსეული გამოდგა. აქეთ-იქით რამდენიმე უსარგებლო შეტევის შემდეგ თორთლაძემ სდასუ დააწინაურა, რასაც უმალ გოგობერიშვილი გამოეპასუხა. წუთში ბაბიაშვილმა და მაჭარაძემ გაცვალეს ქულები. ისევ თორთლაძემ მოინდომა, გიგაურმაც მხარი აუბა და სტუდენტებმა ოთხქულიან უპირატესობას მიაღწიეს, რაც მათი კარგი დაცვითი თამაშით აიხსნება — ცენტრები მაჭარაძე და გიგაშვილი ფხიზლად მეურვეობდნენ მრისხანე ჯაფარიძეს და ირაკლისაც შედარებით ზემოთ უწევდა ამოწევა, საიდანაც ჩვეულად შედეგიანი ველარ იყო. ხმელიძემ შეგირდებით უკმაყოფილების ნიშნად სხვა ტაქტიკა ირჩია და მოწინააღმდეგეს ზონური დაცვა დაუპირისპირა, თუმცა ეს აშკარად არ გახლდათ ის გასაღები, რომელსაც რუსთაველთა მწვრთნელი სდასუელთა კლიტეზე მოსარგებლად ეძებდა — გიგაურმა და უძილაურმა ახლა სამიანებით მიაღწიეს მიზანს. მართალია, მათ არც ქღენტი და გოგობერიშვილი ჩამორჩნენ (მათაც სამიანებით უპასუხეს), მაგრამ თამაში გაიხსნა, რაც სტუდენტთა წისქვილზე ასხამდე წყალს, რადგან „ზონას“ ადვილად არღვევდნენ.

ყოველივეს ხმელიძის საპასუხო რეაქცია მოჰყვა. დაცვა ისევ ერთი-ერთზე გადააწყო და ქღენტს კომბინაციების განხორციელება დაავალა. პოზიციურ თამაშში კი რუსთაველთა უპირატესობა გამოიკვეთა, ჯაფარიძეც მეტად გააქტიურდა და მას შემდეგ, რაც ბაბიაშვილმა ეფექტურად ჩატენა, „აზოტი“ ექვსი ქულით დაწინაურდა 24:18. ნუგზარ კანდელაკმა წუთშესვენების აუცილებლობა იგრძნო. როგორც შემდეგ გამოჩნდა, მან კალათბურთელებს ტემპის დაგდებისკენ მოუწოდა, რამაც ერთ ხანს შედეგიც გამოიღო, მაგრამ რუსთაველებმა უმალ ალლო აუღეს მეტოქის ჩანაფიქრს და შეტევათა დაგვირგვინება ირაკლი ჯაფარიძეს მიანდეს, რომელიც „დამდგარ“ თამაშში შეუჩერებელი გახდა. სხვაობა ნელ-ნელა „აზოტის“ სასარგებლოდ იზრდებოდა და ტაიმი მათი ათქულიანი უპირატესობით უნდა დამთავრებულიყო, რომ არა უკანასკნელ წამზე ქღენტის შორეული სამიანი.

მეორე ნახევარი წინას მსგავსად სდასუ-ს ინიციატივით დაიწყო და ქევხიშვილმა, მაჭარაძემ და უძილაურმა ექვსი ქულა გაქვითეს. შესვენების შემდეგ რუსთაველებმა მესამე წუთზე ჩააგდეს ბურთი, ეს ზვიად ბაბიაშვილმა მოახერხა, რასაც მალე ერთი საჯარიმოც მოაყოლა და გუნდს ათქულიანი უპირატესობა დაუბევა 50:40 — წინ „აზოტია“.

თავისიანთა გაძღოლა დავით თორთლაძემ ითავა და სროლებს უხშირა, რაც უმეტესად მიზანს სცდებოდა. სამაგიეროდ, მისი მეტოქე-კოლეგა არჩილ ქღენტი გააქტიურდა, ბოლო ხუთი ქულა თავისწილად მიითვალა და „აზოტი“ თვალშისაცემად გაიჭრა წინ — 61:46.

სტუდენტებს ვერც მწვრთნელის, კანდელაკის დარიგებებმა უშველა და ყველაზე მეტი ის შეძლეს, რომ მატჩის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე სხვაობა ათ ქულამდე შეამცირეს.

...დანარჩენი კი ზემოთაც გითხარით, უძილაური თამაშს გამოეთიშა და...

**გიორგი ბიკაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 53-ე სეზონის წინ

## წყნარი ოკეანის დივიზიონი

### სიეტლ სუპერსონიქსი

წინა სეზონი: 61-21

ფლეი ოფი: 1:4 ლეიკერსთან მეორე წრეში

მწვრთნელი: პოლ ვესტფოლი (კარიერაში 191-88)

მოვიდნენ: ბილი ოუენსი, ოლდენ პოლინაისი (ორივე — საკრამენტოდან); დონ მაკლინი (ნიუ ჯერსიდან); ვლადიმერ სტეფანია, რაშარდ ლუისი (ორივე — დრაფტიდან)

წავიდნენ: სემ პერკინსი (ინდიანაში); გრეგ ენტონი (პორტლენდში); ჯერომ კერსი (სან ანტონიოში); ჯიმ მაკილვეინი (ნიუ ჯერსიში); დევიდ ვინგეიტი (უგუნდოდ)

სიძლიერე: ეს გუნდი ჩვენთვის განსაკუთრებულად საინტერესოა, რადგან ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის პირველმა ქართველმა ვლადიმერ სტეფანიამ აქ ჩაუშვა ლუზა. ჩვენებურს ერთობ გაუმართლა, რადგან საკმაოდ ძლიერმა გუნდმა აიყვანა. „სიეტლი" პირველი იყო დივიზიონში, რაც, უმთავრესად, ლიდერთა ტრიოს — გამთამაშებელ გერი პეიტონის, გერმანელი ფრთა დეტლეფ შრემპფის და თავდამსხმელი ვინ ბეიკერის დამსახურებაა. გუნდმა ჰაიტელი ოლდენ პოლინაისის შემატებით გადაჭრა ცენტრის პრობლემა.

სისუსტე: სიეტლი რეგულარულ ჩემპიონატში ყოველთვის უკეთ ირჯება, ვიდრე ფლეი ოფში. არადა, ფლეი ოფში ყოჩაღობა უფრო საჭიროა, ვიდრე დივიზიონში ან კონფერენციაში პირველობა. ბოლო ხუთ წელიწადში „სიეტლმა" მხოლოდ ერთ ღირებულ წარმატებას მიაღწია: 1996 წელს ფლეი ოფის ფინალში გავიდა.

რას იზამენ: მძიმე ბრძოლები ელით ფლეი ოფში.

### ლოს ანჯელეს ლეიკერსი

წინა სეზონში: 61-21

ფლეი ოფი: 0:4 იუტასთან კონფერენციის ფინალში

მწვრთნელი: დელ ჰარისი (კარიერაში 550-451)

მოვიდნენ: ტრევის ნაითი (ბოსტონიდან); დერიკ ჰარპერი (ორლანდოდან); ტაირონ ლიუ, სემ ჯეკობსენი (ორივე — დრაფტიდან)

წავიდნენ: ნიკ ვან ექსელი (დენვერში); ჯონ ბერი (საკრამენტოში); მარიო ბენეტი (უგუნდოდ)

სიძლიერე: ლიგაში ყველაზე მძლავრი ცენტრი შაკილ ონილი. 140-კილოგრამი წონის და 216-სანტიმეტრიანი სიმაღლის პატრონის შეჩერება, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ჯორდანის კალათბურთიდან წასვლის შემდეგ იგი ბომბარდირობის უპირველეს კანდიდატადაც ითვლება. ონილის გარდა „ლეიკერსს" ჰყავს კიდევ ერთი ფასდაუდებელი მოთამაშე კობი ბრაიანტი, ვისაც უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ბრაიანტს, გარდა იმისა, რომ ძალზე ლამაზ კალათბურთს თამაშობს, აქვს ერთი კარგი თვისება: ონილისგან განსხვავებით, იგი სულით არ ეცემა და შეუძლია გუნდის ხსნა მძიმე სიტუაციაში.

სისუსტე: „ლეიკერსმა" დაკარგა ძირითადი გამთამაშებელი ნიკ ვან ექსელი. გაქცევისკენ უჭირავთ თვალი ედი ჯონსსა და ელდენ კემპბელს, რადგან ვერ უძლებენ ბრაიანტისა და ონილის კონკურენციას. გუნდს ერთი დიდი ნაკლი აქვს: მძიმე სიტუაციაში მოთამაშეებს ყურების ჩამოყრა სჩვევიათ. ამის გამო „ლეიკერსმა" დასავლეთის კონფერენციის ფინალი პირწმინდად წააგო „იუტასთან".

რას იზამენ: დასავლეთში პირველობას უმიზნებენ.

### ფინიქს სანზი

წინა სეზონი: 56-26

ფლეი ოფი: 1:3 სან ანტონიოსთან პირველ წრეში

მწვრთნელი: დენი ეინჯი (კარიერაში 96-60)

მოვიდნენ: ტომ გულიოტა (მინესოტადან); ლუკ ლონგლი, ჯო კლაინი (ორივე — ჩიკაგოდან); ჯეიმს კოლინზი (კლიპერსიდან); პატ გარიტი (დრაფტიდან)

წავიდნენ: ანტონიო მაკდაიესი (დენვერში); სტივ ნეში, ჰოთ როდ ვილიამსი (ორივე — დალასში); მარკ ბრაიანტი (ჩიკაგოში); დენის სკოტი (ნიუ იორკში); კევინ ჯონსონი (უგუნდოდ)

სიძლიერე: გააზრებული თამაში როგორც დაცვაში, ისე თავდასხმაში. კლუბის ყოფილმა მოთამაშემ, ან კი მთავარმა მწვრთნელმა დენი ეინჯმა მშვენიერი გუნდი შეკრა, რომლის მთავარი დამრტყმელი ძალა უკანა ხაზია, სადაც ორი თეთრკანიანია — გამთამაშებელი ჯეისონ კიდი და მსროლელი რექს ჩეპმენი. გუნდში მოვიდა კიდევ ერთი თეთრკანიანი ვარსკვლავი, თავდამსხმელი ტომ გულიოტა, რომელიც მნიშვნელოვნად გააიოლებს საქმეს თავდასხმაში.

სისუსტე: მძლავრი წინახაზელების ნაკლებობა, რაც ბევრ პრობლემას ქმნის თავდასხმაში. მართალია, ექსჩიკაგოელ ლუკ ლონგლის სიმაღლეცა აქვს და არც წონის ნაკლებობას უჩივის (იგი, ალბათ, არიზონული გუნდის მეოთხე თეთრი ძირითადი იქნება), მაგრამ ეს მაინც ვერ შველის საქმეს. კლუბმა ხელიდან გაუშვა საკმაოდ კარგი სათადარიგოები სტივ ნეში და სამქულიანების ოსტატი დენის სკოტი.

რას იზამენ: შარშანდელ შედეგს გაიმეორებენ.

### პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი

წინა სეზონში: 46-36

ფლეი ოფი: 1:3 ლეიკერსთან პირველ წრეში

მწვრთნელი: მაიკ დანლივი (კარიერაში 254-320)

მოვიდნენ: გრეგ ენტონი (სიეტლიდან); ჯიმ ჯექსონი (გოლდენ სტეიტიდან); ბონზი ველსი (დრაფტიდან)

წავიდნენ: რიკ ბრუნსონი (ნიუ იორკში); გერი გრანტი (უგუნდოდ)

სიძლიერე: რამდენიმე ვარსკვლავი. „პორტლენდს" ჰყავს საკმაოდ კარგი სასტარტო ხუთეული და არც სათადარიგოები დაეწუნება. კვლავ გუნდშია შებერებული ლიტველი ცენტრი არვიდას საბონისი, რომელსაც თავდასხმაში დაეხმარებიან ახალგაზრდა ვარსკვლავები რაშიდ უოლესი და ბრაიან გრანტი. უკანა ხაზიც სოლიდურია: კვლავ ითამაშებენ ნიჭიერი, მაგრამ ჭირვეული მსროლელი აიზია რაიდერი და 1995-96 წლების სეზონის საუკეთესო ახალბედა, 178-სანტიმეტრიანი გამთამაშებელი დეიმონ სტუდემაიერი, რომელიც კლუბმა შარშან ჩალის ფასად დაითრია „ტორონტოდან".

სისუსტე: საკმაოდ კარგი შემადგენლობის მიუხედავად „პორტლენდი" ვერ უწევს კონკურენციას გრანდებს და წლების განმავლობაში დასავლეთის საშუალო გუნდად რჩება. გუნდი ზედიზედ 15 წელიწადია გადის ფლეი ოფში, მაგრამ 1992 წლის ფინალის მერე მისთვის დაუძლეველ ბარიერად იქცა ფლეი ოფის პირველი წრე.

რას იზამენ: ვინმე გამოაგდებს ფლეი ოფის პირველი წრიდან.




ბადრი ქადიძის ფოტო

ვლადიმერ სტეფანია — „სიეტლის" ქართველი ახალბედა

### საკრამენტო კინგზი

წინა სეზონი: 27-55

ფლეი ოფი: ვერ მოხვდა

მწვრთნელი: რიკ ადელმანი (კარიერაში 357-252)

მოვიდნენ: ვლადე დივაცი, ვერნონ მაქსველი (ორივე — შარლოტიდან); კრის ვებერი (ვაშინგტონიდან); კევინ ოლი (ორლანდოდან); ჯონ ბერი (ლეიკერსიდან); ჯეისონ ვილიამსი (დრაფტიდან); პრედრაგ სტოიაკოვიჩი (საბერძნეთიდან)

წავიდნენ: მიჩ რიჩმონდი, ოტის ტორპი (ორივე — ვაშინგტონში); ოლდენ პოლინაისი, ბილი ოუენსი (ორივე — სიეტლში); მაიკლ სტიუარტი (ტორონტოში); ენტონი ჯონსონი (ატლანტაში); მაჰმუდ აბდულ რაუფი (თურქეთში)

სიძლიერე: საკმაოდ ძლიერი თავდასხმის ხაზი. გუნდში სერიოზული ცვლილებები მოხდა, რის შედეგადაც „მეფეები" გახდნენ ექსშარლოტელი „ბზიკი". ცენტრი ვლადე დივაცი და ექსდედაქალაქელი „ჯადოქარი" თავდამსხმელი კრის ვებერი. კალიფორნიულ „ლეიკერსში" დაწყებულ კარიერას იუგოსლავიელი დივაცი კალიფორნიულსავე „საკრამენტოში" გააგრძელებს. დიდი ძალაა ვებერი, ვისაც ახალგაზრდა ფრთა კორლის უილიამსონი დაეხმარება წინა ხაზში.

სისუსტე: ბოლო წლების ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი მსროლელის და გუნდის ერთპიროვნული ლიდერის მიჩ რიჩმონდის წასვლას არ შეიძლება არ მოჰყვეს სერიოზული პრობლემები. თანაც „მეფეებს" მაჰმუდ აბდულ რაუფიც გაუსხლტათ ხელიდან.

რას იზამენ: იომებენ დასავლეთში მერვე ადგილისთვის.

### გოლდენ სტეიტ უორიორზი

წინა სეზონი: 19-63

ფლეი ოფი: ვერ მოხვდა

მწვრთნელი: ფი.ჯეი.კარლესიმო (კარიერაში 112-134)

მოვიდნენ: ჯონ სტარქსი, კრის მილზი, ტერი კამინგსი (ყველა — ნიუ იორკიდან); ენტაუნ ჯემისონი (დრაფტიდან)

წავიდნენ: ლატრელ სპრიუელი (ნიუ იორკში); კლარენს ვეზერსპუნი (მაიამიში); ჯიმ ჯექსონი (პორტლენდში)

სიძლიერე: სან ფრანცისკოელებმა რამდენიმე კარგი მოთამაშე გადმოიყვანეს „ნიუ იორკიდან", მწვრთნელი კარლესიმოს ცემისთვის გუნდიდან მოკვეთილი ლატრელ სპრიუელის სანაცვლოდ. „მეომრებს" ჰყავთ ერთი ვარსკვლავი, თავდამსხმელი დონიელ მარშალი. გუნდისთვის ნათელი წერტილია დრაფტში მეოთხე ნომრად დათრეული მცველი ენტაუნ ჯემისონი.

სისუსტე: არავის სურს ამ ლამის მუდმივად სუსტ გუნდში გაჩერება. 90-იან წლებში „გოლდენ სტეიტმა" ხელიდან გაუშვა ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც არიან მიჩ რიჩმონდი, კრის ვებერი, ტომ გულიოტა, პენი ჰარდევეი, ტიმ ჰარდევეი, კრის მულინი და ლატრელ სპრიუელი. თითქოს ეს არ კმაროდა და გუნდს წინა სეზონის ლიდერმა ჯიმ ჯექსონმაც უგანა და პორტლენდში გადაბარგდა. გუნდი დატოვა წინა სეზონის შუაში ჯექსონთან ერთად „ფილადელფიადან" გადმოსულმა თავდამსხმელმა კლარენს ვეზერსპურნმა და „მაიამის" შეაფარა თავი.

რას იზამენ: „კლიპერსს" შეეტოქებიან დივიზიონში ბოლოსწინა ადგილისთვის.

### ლოს ანჯელეს კლიპერსი

წინა სეზონი: 17-65

ფლეი ოფი: ვერ მოხვდა

მწვრთნელი: კრის ფორდი (კარიერაში 291-283)

მოვიდნენ: სკოტ ბრუქსი (კლივლენდიდან); მაიკლ ოლოვოკანდი, ბრაიან სკინერი (ორივე — დრაფტიდან)

წავიდნენ: აიზეკ ოსტინი (ორლანდოში); ლოი ვოიტი (დეტროიტში); ჯეიმს კოლინზი (ფინიქსში)

სიძლიერე: დრაფტი 1998-ის პირველი ნომერი მაიკლ ოლვოკანდი ლოკაუტს იტალიაში გაექცა და იქ რამდენიმე კარგი თამაში ჩაატარა, მაგრამ ახლა იგი კვლავ ლოს ანჯელესშია და ეცდება, დაიხსნას კლიპერსი. წინა ხაზში ოლივოკანდის დამხმარეებად ეყოლება როდნი როჯერსი, ლემონდ მიურეი და შარონ რაიტი.

სისუსტე: უხეირო თამაში, რასაც, თავის მხრივ, განაპირობებს ვარსკვლავების სიმცირე. „კლიპერსს" ყოველთვის უჭირდა მაყურებლის შეტყუება დარბაზში, მისი ყველაზე დაძაბული თამაშების სანახავად მხოლოდ 10-12 ათასი მაყურებელი იყრიდა თავს, მაშინ როცა ლოს ანჯელესის გარეუბანში მდებარე „ანაჰაიმ არენა" ბევრად მეტს იტევს. გუნდის მესვეურთა ვარაუდით, ოლვოკანდის მოსვლამ ეს პრობლემა ასე თუ ისე უნდა გადაჭრას. გუნდს არ ჰყავს თავდამსხმის შესაფერისი დაცვა. მისი უკანა ხაზი ლიგაში ერთ-ერთ უსუსტესად ითვლება და ვერავის სცემს შიშის ზარს.

რას იზამენ: შარშანდელს აქეთ საგრძნობლად მოუმატებენ.

## ევროლიგა. მე-14 ტური. 3-4 თებერვალი

### E ჯგუფი

**ჟალგირისი 91:65 ცრვენა ზვეზდა**

ჟალგირისი: ადომაიტისი (10), ბოუი (17), ედნი (13), მასიულისი (6), მასკოლიუნასი (6), შესტოკასი (8), შტომბერგასი (18), ზიდეკი (9), ე. ჟუკაუსკასი (4)
ცრვენა ზვეზდა: ბოლიჩი (7), იესტრატიევიჩი (20), პავიჩევიჩი (5), პეკოვიჩი (9), პოპოვიჩი (5), რაკოჩევიჩი (5), სტანოევიჩი (2), ტოპიჩი (12)

**პო ორტეზი 76:79 ციბონა**

პო ორტეზი: აიშა, დევისი (5), ევოდო (2), ფატუ (7), ფუარე (13), დ. გადუ (1), გრანტი (30), სხოლტენი (10), სმიტი (8)
ციბონა: ატკინსი (8), ბაგარიჩი (7), გირიჩეკი (32), გრგატი (4), კრსტიჩი (7), მარცელიჩი (1), ნიჩევიჩი (4), პრკაჩინი (4), ვრანკოვიჩი (12)

**ფენერბაჰჩე 76:66 ტდკ**

ფენერბაჰჩე: აფაიდინი (10), ენდენი (4), გილმორი (18), კალამიზა, ქუთლუაი (15), ლოხმანჩუკი (2), მაკრეი (10), ტაბაკი (17)
ტდკ: კაპდევილა (12), კრეუსი (2), გონსალესი (2), ლავინია (1), მილი (6), მონტანესი (8), მოია (6), სინგლა (2), ვასკესი (14), ვილიამსი (13)

### F ჯგუფი

**პანათინაიკოსი 86:76 ავტოდორი**

პანათინაიკოსი: ბოდიროგა (20), ბუდურისი (2), ბურკი (14), ეკონომუ (7), ფოცისი (12), ჯენტილე, ჰუპმანი (4), კალაიძისი, პატავუკასი (3), რაჯა (24)
ავტოდორი: ეინიკისი (15), გუსევი (6), ხიჟნიაკი (2), ხრიაპა (2), მილოსერდოვი (3), ზ. პაშუტინი (11), ე. პაშუტინი (17), სმირნოვი (1), ჩიკალკინი (19)

**ეფესი 83:72 ვარეზე**

ეფესი: აიდინი (15), ბეშოქი (18), დრობნიაკი, ნაუმოსკი (25), სარიჯა, სავიჩი (15), თურქჯანი (10), თურქოღლუ
ვარეზე: დე პოლი (14), გალანდა (15), ჯადინი, მენეგინი (13), პოცეკო (6), სანტიაგო (10), ვესკოვი (12), ზანუს-ფორტი (2)

**მაკაბი 104:64 ტაუგრესი**

მაკაბი: ალექსანდერი (20), ბენუა (13), გუდესი (10), ჰენფელდი (6), კატაში (23), პოპა (2), შარფი (5), შეფერი (20), შელეფი (5)
ტაუგრესი: ანგულო (10), ბენეტი (6), ბერიჩი (5), ესპილი (13), მილერა, ორტუნი (4), რუსკონი (4), სანდერსი (6), ვინტერსი (16)

### G ჯგუფი

**კინდერი 78:56 პაოკ**

კინდერი: აბიო (13), ბინელი (2), კრიპა (1), ფროსინი (4), მაკრისი (ნესტეროვიჩი) (15), ოსალივანი (2), პანიჩი (3), რიგოდო (27), რუინი, სკონოჩინი (11)
პაოკ: ბალოიანისი (10), ბერი (11), კოლდებელა (2), იანულისი (16), კინგი (10), მასლარინოსი, მორალესი (4), ნიკოლაიდისი (3)

**ოლიმპიაკოსი 85:63 სამარა**

ოლიმპიაკოსი: ადე მანსა (5), ფასულასი (6), გოლდვაიერი (9), კომაზეცი (19), ობერტო (11), პაპანიკოლაუ (6), როჯერსი (4), სულისი (6), ტარლაკი (15), ცალიკისი (4)
სამარა: დოლოპჩი (7), დონსკოვი, ევანსი (15), გრაჩოვი (14), იაილო (10), კისელიოვი, მალცევი (6), საიტანი, სავკინი (11)

**ცსკა 69:67 ტიმსისტემი**

ცსკა: დაინეკო (18), დომანი, კარასიოვი (20), კისურინი, კუდელინი (13), ნოსოვი (8), პანოვი (7), ვეტრა (3)
ტიმსისტემი: ბეტსი (4), დამიო (2), ფუჩკა (8), გაი, კარნიშოვასი (13), ლაცისი, მულაომეროვიჩი (17), მაიერსი (23)

### H ჯგუფი

**ვილერბანი 69:61 ზადარი**

ვილერბანი: ადამსი (14), ბლომი (9), დიგბო (18), ჰენრი (3), პალმერი (4), პერსევო (5), პლუვი, რადი (14), სონკო (2)
ზადარი: ერცეგოვიჩი (8), კოვაჩიჩი (6), ლუისი (8), მუიაჯიჩი (7), ნაგლიჩი (24), პესტიჩი (2), ი. რუჟიჩი (5), ტ. რუჟიჩი (1)

**ოლიმპია 66:59 ალბა**

ოლიმპია: დუშჩაკი, გოლემაცი, იურკოვიჩი (10), კოტნიკი (2), კრალევიჩი (6), მაკდონალდი (20), მუტავჯიჩი (6), ნოვაკი, ტეილორი (10), ზდოვცი (12)
ალბა: ალექსისი (8), ბოგოევიჩი, ფემერლინგი (8), გარისი (12), ჰამინკი (14), ლუტკე, პეშიჩი (4), როდლი (13)

**რეალი 72:85 ულქერი**

რეალი: ანგულო (12), ბერდი (13), ერეროსი (9), იტურბე (7), ლასა (9), ლიუკი (3), მარტინი (3), სანტოსი (6), სტრიულენსი (10)
ულქერი: ალიჰოჯიჩი (1), ანდერსონი (24), ერდენაი (34), ფირინჯიოღლუ (6), რენკინი (5), თაბაი, ილდირიმი (15)

| | E ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჟალგირისი | | 64:59 | 70:67 | 18.02 | 91:65 | 75:66 | 11 | 3 | 1115:1032 | 25 |
| 2 | ფენერბაჰჩე | 99:84 | | 78:71 | 66:61 | 17.02 | 76:66 | 8 | 6 | 1047:1042 | 22 |
| 3 | პო ორტეზი | 56:66 | 73:48 | | 76:79 | 70:61 | 18.02 | 7 | 7 | 1022:988 | 21 |
| 4 | ციბონა | 71:79 | 10.02 | 66:56 | | 77:80 | 54:61 | 6 | 8 | 955:989 | 20 |
| 5 | ცრვენა ზვეზდა | 77:69 | 88:66 | 11.02 | 66:69 | | 88:60 | 4 | 10 | 986:1022 | 18 |
| 6 | ტდკ | 11.02 | 71:62 | 51:69 | 67:79 | 74:59 | | 4 | 10 | 900:995 | 18 |

| | F ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პანათინაიკოსი | | 77:63 | 67:58 | 82:71 | 18.02 | 86:76 | 14 | 0 | 1071:922 | 28 |
| 2 | ეფესი | 53:80 | | 81:74 | 83:72 | 71:67 | 18.02 | 10 | 4 | 998:974 | 24 |
| 3 | მაკაბი | 62:84 | 66:68 | | 18.02 | 104:64 | 92:69 | 6 | 8 | 1058:1000 | 20 |
| 4 | ვარეზე | 11.02 | 67:57 | 100:96 | | 86:78 | 95:73 | 6 | 8 | 1112:1129 | 20 |
| 5 | ტაუგრესი | 74:77 | 11.02 | 79:76 | 75:72 | | 80:60 | 6 | 8 | 1062:1105 | 20 |
| 6 | ავტოდორი | 73:76 | 66:77 | 11.02 | 73:70 | 64:81 | | 2 | 12 | 1016:1144 | 16 |

| | G ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ოლიმპიაკოსი | | 55:50 | 74:76 | 17.02 | 57:71 | 85:63 | 11 | 3 | 1032:941 | 25 |
| 2 | კინდერი | 67:72 | | 86:65 | 72:74 | 78:56 | 18.02 | 9 | 5 | 954:849 | 23 |
| 3 | ცსკა | 75:81 | 62:70 | | 69:67 | 17.02 | 79:68 | 8 | 6 | 1040:1026 | 22 |
| 4 | ტიმსისტემი | 60:63 | 11.02 | 83:69 | | 76:61 | 77:58 | 7 | 7 | 960:912 | 21 |
| 5 | პაოკ | 10.02 | 71:57 | 69:71 | 68:59 | | 85:66 | 6 | 8 | 989:1001 | 20 |
| 6 | სამარა | 70:81 | 61:71 | 11.02 | 59:71 | 84:77 | | 1 | 13 | 947:1157 | 15 |

| | H ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ოლიმპია | | 64:54 | 76:84 | 18.02 | 76:65 | 66:59 | 11 | 3 | 990:891 | 25 |
| 2 | ვილერბანი | 77:68 | | 77:73 | 72:56 | 69:61 | 18.02 | 9 | 5 | 997:964 | 23 |
| 3 | რეალი | 67:68 | 71:70 | | 72:85 | 18.02 | 74:63 | 8 | 6 | 1097:1043 | 22 |
| 4 | ულქერი | 61:71 | 11.02 | 85:83 | | 62:55 | 76:65 | 6 | 8 | 962:1024 | 20 |
| 5 | ზადარი | 11.02 | 74:56 | 68:73 | 73:85 | | 79:82 | 4 | 10 | 928:991 | 18 |
| 6 | ალბა | 57:75 | 73:71 | 11.02 | 87:63 | 78:85 | | 4 | 10 | 977:1074 | 18 |

# სარბიელი

# სპორტული ლატარია "CROCO"

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 თებერვალი | | | |
| ასტონ ვილა — ბლექბერნი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,1 | 3,0 | 2,3 |
| ჩელსი — საუთჰემპტონი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ლიდსი — ნიუკასლი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ლესტერი — შეფილდ უენსდეი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ლივერპული — მიდლსბრო | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ნოტინგემი — მანჩესტერი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| ტოტენჰემი — ქოვენთრი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ვესტ ჰემი — არსენალი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| 7 თებერვალი | | | |
| დერბი — ევერტონი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 8 თებერვალი | | | |
| ჩარლტონი — უიმბლდონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 თებერვალი | | | |
| ბარნსლი — ქრიუ | 1,2 | 5,3 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,3 | 3,1 |
| ბრედფორდი — უოტფორდი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ბერი — იფსვიჩი | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| კრისტალ პალასი — ბირმინგემი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| გრიმსბი — ბოლტონი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| ნორვიჩი — სტოკპორტი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| პორტ ვეილი — ჰადერსფილდი | 3,0 | 2,8 | 1,9 |
| პორტსმუთი — ტრანმერი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| შეფილდ იუნაიტედი — ვესტ ბრომვიჩი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| სანდერლენდი — სვინდონი | 1,25 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| ვულვერჰემპტონი — ოქსფორდი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XXIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 თებერვალი | | | |
| ნანტი — ლანსი | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| ლიონი — ნანსი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| მეცი — ლორიანი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| მარსელი — ბასტია | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ლე ავრი — მონაკო | 2,5 | 2,7 | 2,7 |
| პსჟ — სოშო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| რენი — ბორდო | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| 7 თებერვალი | | | |
| ოსერი — ტულუზი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| მონპელიე — სტრასბური | 1,6 | 2,9 | 6,0 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 თებერვალი | | | |
| ბოლონია — ბარი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| სამპდორია — კალიარი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ინტერი — ემპოლი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| ფიორენტინა — მილანი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| იუვენტუსი — პარმა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ლაციო — პერუჯა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| ვიჩენცა — პიაჩენცა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ვენეცია — რომა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| სალერნიტანა — უდინეზე | 2,3 | 2,8 | 2,9 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 თებერვალი | | | |
| ვერონა — ლუკეზე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 7 თებერვალი | | | |
| ტრევიზო — ჩეზენა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ატალანტა — კიევო | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,1 | 3,0 | 2,3 |
| ტერნანა — კოზენცა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ბრეშა — ფ. ანდრია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ლეჩე — ჯენოა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,1 | 3,0 | 2,3 |
| ნაპოლი — პესკარა | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| კრემონეზე — რეჯანა | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| მონცა — რეჯინა | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| რავენა — ტორინო | 2,5 | 2,7 | 2,7 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 თებერვალი | | | |
| ვალენსია — დეპორტივო | 1,7 | 3,0 | 4,2 |
| 7 თებერვალი | | | |
| ალავესი — ოვიედო | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| სოსიედადი — ტენერიფე | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,1 | 3,0 | 2,3 |
| ესპანიოლი — მალიორკა | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| სალამანკა — ატლეტიკო | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| სელტა — ვილიარეალი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| რეალი — ვალიადოლიდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| ესტრემადურა — ბარსელონა | 5,0 | 2,9 | 1,7 |
| რასინგი — ბილბაო | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| სარაგოსა — ბეტისი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XXIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 თებერვალი | | | |
| კომპოსტელა — მერიდა | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| ლას პალმასი — ტოლედო | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 7 თებერვალი | | | |
| მალაგა — ორენსე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| სევილია — რეკრეატივო | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ნუმანსია — ლეგანესი | 1,3 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ლეიდა — ბადახოსი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ლოგრონიესი — ოსასუნა ($15^{00}$) | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| რაიო ვალეკანო — ერკულესი ($15^{00}$) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| ატლეტიკო B — ბარსელონა B ($15^{00}$) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| მალიორკა B — ალბასეტე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| სპორტინგი — ეიბარი | 1,5 | 3,3 | 6,0 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XXI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 თებერვალი | | | |
| ბრაგა — გიმარაეში | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| კამპომაიორენსე — სპორტინგი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| 7 თებერვალი | | | |
| შავეში — რიუ ავე | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| აკადემიკა — ამადორა | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| სეტუბალი — ბეირა მარი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| სალგეირუში — ალვერკა | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ლეირია — ბოავიშტა | 4,0 | 3,0 | 1,8 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. XX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 თებერვალი | | | |
| ტვენტე — ალკმაარი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| სიტარდი — ბრედა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ტილბურგი — ჰერენვენი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| 7 თებერვალი | | | |
| კამბური — ფეიენოორდი | 5,6 | 3,0 | 1,6 |
| ვალვაიკი — მაასტრიხტი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### ბელგიის ჩემპონატი. გადადებული მატჩი

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 თებერვალი | | | |
| ბევერენი — სენტ ტრუიდენი | 2,4 | 2,8 | 2,7 |

### თურქეთის ჩემპიონატი. XIX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 თებერვალი | | | |
| გენჩლერბირლიგი — ფენერბახჩე | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| 7 თებერვალი | | | |
| .საქარია — გაზიანთეფი ($15^{30}$) | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ადანა — ერზრუმი ($15^{30}$) | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| სამსუნი — ისთანბული ($15^{30}$) | 2,2 | 2,9 | 2,8 |
| ქარაბუქი — ქოჯაელი ($15^{30}$) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| დარდანელი — ანკარა ($15^{30}$) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ტრაბზონი — ალთაი ($15^{30}$) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| გალათასარაი — ბურსა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

### შოტლანდიის ჩემპონატი. XXIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 თებერვალი | | | |
| აბერდინი — კილმარნოკი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| სელტიკი — ჰართსი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| დანდი — მოზერველი | 2,2 | 2,7 | 3,2 |
| სტ. ჯონსტონი — დანდი იუნაიტედი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 7 თებერვალი | | | |
| დანფერმლაინი — რეინჯერსი | 6,0 | 3,3 | 1,5 |

### ამხანაგური მატჩი

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 თებერვალი | | | |
| აშშ — გერმანია | 5,3 | 3,1 | 1,6 |

### ჰოკეი. NHL

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 თებერვალი | | | |
| მონრეალი — ბუფალო | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| ნიუ ჯერსი — ტორონტო | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ფილადელფია — ბოსტონი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| კაროლინა — ფლორიდა | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| სენტ ლუისი — ანაჰაიმი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| კალგარი — ოტავა | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| ფინიქსი — ჩიკაგო | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| ლოს ანჯელესი — სან ხოსე | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 7 თებერვალი | | | |
| ბოსტონი — რეინჯერსი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| აილენდერსი — ვანკუვერი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| პიტსბურგი — დეტროიტი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| ვაშინგტონი — ბუფალო | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| დალასი — კოლორადო | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 8 თებერვალი | | | |
| ფლორიდა — სენტ ლუისი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| კალგარი — ედმონტონი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ფინიქსი — სან ხოსე | 1,25 | 4,4 | 4,4 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# ხუთი ერის გაექვსებამდე

დღეს ევროპული რაგბის უმნიშვნელოვანესი ტურნირი — ხუთი ერის პირველობა იწყება. საფრანგეთი, ინგლისი, უელსი, შოტლანდია და ირლანდია უკანასკნელად იბრძოლებენ კონტინენტის უძლეველი გუნდის სახელისთვის, გაისიდან მათ პაექრობაში მეექვსე ქვეყანა, იტალია ჩაებმება. ასე რომ, წლევანდელ პირველობას სულ სხვა ეშხი და ლაზათი შეემატა. ვფიქრობ, უპრიანია ცოტა ხნით წარსულსაც გადავავლოთ თვალი და ორიოდ სიტყვით პირველობის ისტორიაზეც ვთქვათ.

საერთაშორისო ჩემპიონატი 1882 წლიდან იღებს სათავეს, მაშინ, 117 წლის წინათ ერთმანეთს ინგლისი და უელსი დაუპირისპირდნენ. ამ მატჩში გამარჯვებული ინგლისი დარჩა. დროთა განმავლობაში მათ შოტლანდია და ირლანდიაც შეუერთდა. 1910 წელს კი ბრიტანელებმა ფრანგებიც მიიწვიეს და ასე დაიბადა ხუთი ერის პირველობა, თუმცა ერთიც უნდა აღვნიშნოთ: 1931 წელს „მამლები" 16 წლით მოკვეთეს.

1947 წლიდან დღემდე ფრანგებმა ოცჯერ მოახერხეს ტურნირის მოგება (შარშან მათ ინგლისელებს გამოგლიჯეს გამარჯვება ხელიდან), აქედან ექვსჯერ ასპროცენტიანი შედეგით. დიდი სლემი კი თერთმეტჯერ ინგლისელებმა ირგუნეს. ირლანდიელებს ტურნირი 1985 წლის მერე არ მოუგიათ, ბოლო ორი წელიწადია კი „ხის კოვზს" სჯერდებიან, რომელიც ყველა შეხვედრაში დამარცხებული გუნდის ერთგვარი „პრიზია". წლეულს, ალბათ, ირლანდიელების ხვედრს დაბეჩავებული სკოტები გაიზიარებენ, არადა შოტლანდიელებს ხუთი ერის პირველობაზე ცამეტჯერ უჩემპიონიათ.

ერთი სიტყვით, ჩრდილო ნახევარსფეროს ხუთი უდიდესი სარაგბო ქვეყანა დღეიდან ფიცხელ ბრძოლას გააჩაღებს. ახლა კი, მოდით თითოეულ მათგანს უფრო ახლოს გავეცნოთ.

## საფრანგეთი

**რაგბის კავშირი დაარსდა 1919 წ.**
**ფერები: ლურჯი, თეთრი, წითელი**
**მწვრთნელი: ჟან-კლოდ სკრელა**
**კაპიტანი: რაფაელ იბანესი**
**ხუთი ერი მოგებული აქვს 20-ჯერ**
**დიდი სლემი — 6**
**მატჩები 136-131**
**წინა გათამაშება — I ადგილი**

*მორკინალები:* ოლივიე ბრუზე, კრისტიან კალიფანუ, ტიერი კლედა, მარკ დალ მაზო, რაფაელ იბანესი, მარკ ლიევრემონი, ტომა ლიევრემონი, ოლივიე მანი, სილვენ მარკონე, ფაბიენ პელუ, ფრანკ ტურნერი, ფილიპ ბენეტონი

*უკანა ხაზი:* დავიდ ოკანი, ფილიპ ბურნა-სალი, ფილიპ კარბონო, ტომა კასტანიედი, ფრანკ კომბა, არტურ გომესი, კრისტოფ ლასიუკი, ტომა ლამბარი, რიშარდურთი, ემილ ნტამავი

**ხუთი** ერის პირველობის ბოლო ორი გათამაშების გამარჯვებული წლეულსაც უმთავრესი ფავორიტია ინგლისთან ერთად. მის შანსებს ასე თუ ისე ის ამცირებს, რომ მეოთხე ტურში საფრანგეთი ინგლისს სტუმრობს. თუმცა ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ნამდვილად არა აქვს. შარშანწინაც იგივე სიტუაცია იყო, მაგრამ მაშინ სტუმრებმა მასპინძლებს ბოლო წუთებში გამოგლიჯეს გამარჯვება ხელიდან და ჩემპიონებიც გახდნენ. 1997 და 1998 წლებში მოგებული დიდი სლემი იმაზე მეტყველებს, რომ ფრანგებმა თავიანთი თავკაცის ჟან კლოდ სკრელას იდეები გაითავისეს და მეტოქეებსაც იოლად გაუსწორდნენ. წინა შაბათს, გენუაში, იტალიელების დამარცხებაც ამას მოწმობს, რომ საფრანგეთს ზედიზედ მესამე დიდი სლემის მოგების კარგი შესაძლებლობა აქვს.

## შოტლანდია

**რაგბის კავშირი დაარსდა 1873 წ.**
**ფერები: თეთრი, მუქი ლურჯი**
**მწვრთნელი: ჯიმ ტელფერი**
**კაპიტანი: გარი არმსტრონგი**
**ხუთი ერი მოგებული აქვს 13-ჯერ**
**დიდი სლემი — 3**
**მატჩები: 165-187**
**წინა გათამაშება: IV ადგილი**

*მორკინალები:* ტომ სმიტი, გორდონ ბალოქი, პოლ ბარნელი, სკოტ მიურეი, დოდი ვეირი, პიტერ უოლტონი, მარტინ ლესლი, ერიკ პეტერსი, შონ ლონგსტაფი, ალან ტაიტი, იან ფერლი, ბაჯ პანტნი

*უკანა ხაზი:* გლენ მეტკალფი, კამერონ მიურეი, გრეგორ თაუნსენდი, ჯონ ლესლი, კენი ლოგანი, დანკან ჰოჯი, გარი არმსტრონგი, სტიუარტ გრიმსი, დევიდ ჰილტონი, სტივენ ბრაზერსტოუნი

**წლევანდელი** ტურნირის აშკარა აუტსაიდერი, სპეციალისტების აზრით, შოტლანდიაა. 1991 წლის მსოფლიოს თასის ნახევარფინალისტი თაობის (ძმები ჰასტინგსები, გრეგ ჩალმერსი, დევიდ სოული, ჯონ ჯეფრი...) შემცვლელნი ჯერ კიდევ არ გამოჩენილან. შარშან სქოთებმა შინ სარეკორდო მარცხიც იწვნიეს ფრანგებისგან — 16:51. გუნდში რომ სასიკეთო ძვრები არ მომხდარა, ამ ზამთარშიც გამოჩნდა — 10:35 წაგება სამხრეთ აფრიკასთან. მოკლედ, ჯიმ ტელფერის გუნდს სერიოზულ მოწინააღმდეგედ არავინ აღიქვამს.

### კალენდარი

დღეს
ირლანდია — საფრანგეთი
შოტლანდია — უელსი

II ტური. 20 თებერვალი
ინგლისი — შოტლანდია
უელსი — ირლანდია

III ტური. 6 მარტი
საფრანგეთი — უელსი
ირლანდია — ინგლისი

IV ტური. 20 მარტი
ინგლისი — საფრანგეთი
შოტლანდია — ირლანდია

V ტური. 10-11 აპრილი
საფრანგეთი — შოტლანდია
უელსი — ინგლისი

## ინგლისი

**რაგბის კავშირი ჩამოყალიბდა 1871 წ.**
**ფერი: თეთრი**
**მწვრთნელი: კლივ ვუდვორდი**
**კაპიტანი: ლოურენს დალალიო**
**ხუთი ერი მოგებული აქვს 23-ჯერ**
**დიდი სლემი — 11**
**მატჩები: 155-101**
**წინა გათამაშება: II ადგილი**

*მორკინალები:* გარეთ არჩერი, ნილ ბუქი, ბენ კლარკი, რიჩარდ კოკერილი, მარტინ კორი, ლოურენს დალალიო, ტონი დიფროუზი, დარენ გერფორსი, უილ გრინი, დენი გრიუკოვი, რიჩარდ ჰილი, მარტინ ჯონსონი, ჯეისონ ლეონარდი, ენდი ლონგი, ტიმ როდბერი, გრემ როუნთრი

*უკანა ხაზი:* ნიკ ბელი, კირან ბრექენი, მაიკ ქეთი, მეტ დოუსონი, ფილ დე გლენვილი, პოლ გრეისონი, უილ გრინვუდი, ჯერემი გასკოტი, ოსტინ ჰელი, დან ლაგერი, მეტ პერი, დევიდ რისი, ჯერემი ტომპსონი, ტონი ანდერვუდი

**ინგლისელები** აუცილებლად შეეცდებიან დიდი სლემის მოპოვებას. მხოლოდ ასეთი წარმატება თუ დაავიწყებთ მათ გულშემატკივრებს შარშან ავსტრალიასა და ახალ ზელანდიასთან სასტიკ წაგებას (0:76 და 22:64). იმედის საფუძველი მათ ნამდვილად აქვთ, სწორედ თვიქნემში შეწყდა სამხრეთაფრიკელთა 17-მატჩიანი წაუგებელი სერია ქურციკთა ბოლო ბრიტანული ტურნეს დროს. ინგლისელებმა სტუმრებს 13:7 მოუგეს. ამ თამაშში გამოჩნდა, რომ ინგლისი ლამობს ბურთაობაში სამხრეთ ნახევარსფეროს „დიდ სამეულს" გაუტოლდეს და გამოსდის კიდეც. „წლეულს ჩვენი მთავარი მიზანი მსოფლიოს თასზე გამარჯვებაა, მაგრამ ეს არ გამორიცხავს, რომ ხუთი ერის პირველობაზე ოთხივე თამაშის მოგებას არ ვეცდებით" — საკმაოდ ამბიციურადაა განწყობილი ინგლისის მწვრთნელი კლივ ვუდვორდი.



დღეს საფრანგეთი ირლანდიას შეებმება

## უელსი

**რაგბის კავშირი დაარსდა 1881წ.**
**ფერები: წითელი, თეთრი**
**მწვრთნელი: გრეჰემ ჰენრი**
**კაპიტანი: რობერტ ჰოული**
**ხუთი ერი მოგებული აქვს 22-ჯერ**
**დიდი სლემი — 8**
**მატჩები: 196-153**
**წინა გათამაშება: III ადგილი**

*მორკინალები:* დარენ მორისი, ჯონათან ჰამფრიზი, დევიდ იონგი, იან გუგი, კრის უიატი, კოლინ ჩარვისი, მარტინ უილიამსი, სკოტ ქვინელი, დევიდ ლველინი, გარი ლუისი, კრის ენტონი

*უკანა ხაზი:* შუინ ჰოვარსი, დეფიდ ჯეიმსი, ალან ბეითმენი, სკოტ გიბსი, მეტიუ რობინსონი, ნილ ჯენკინსი, რობერტ ჰიული, კეიტ მორგანი, მარკ ტეილორი, მარკ ვოილი, ბენ უილიამსი

**გასული** წლების დიდება რომ დაიბრუნოს, უელსის რაგბის კავშირმა ჯიბეზე ხელი გაიკრა. თუმცა, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ მათ საკმაოდ ფულიანი სპონსორები იშოვეს და მათ გულუხვ შემოწირულობებს თავიანთ ნაკრებს ახმარენ. საფრანგეთთან (0:51) და სამხრეთ აფრიკასთან (13:96) გაცამტვერების მერე უელსელებმა ქვეყნის უმთავრესი გუნდის მწვრთნელად ზე-12-ის 1996 და 1997 წლების გამარჯვებულის, „ოკლენდის" თავკაცი გრეჰემ ჰენრი მიიწვიეს. ჰენრიმ ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და თვეში 20.000 გირვანქას მიიღებს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი პლანეტის ყველაზე მაღალი ანაზღაურების მქონე რაგბის მწვრთნელია. გარდა ამისა, უელსელებმა ყოფილი ოლბლექსელი შეინ ჰოუართი (მას უელსელი ბაბუა ჰყოლია) ჩარიცხეს გუნდში. ერთი სიტყვით, ისინი კარგად არიან მომზადებულნი და ფავორიტ საფრანგეთსა და ინგლისს, ალბათ, გვარიან წინააღმდეგობასაც გაუწევენ.

## ირლანდია

**რაგბის კავშირი დაასრდა 1874წ.**
**ფერები: მწვანე, თეთრი**
**მწვრთნელი: უორენ გეტლანდი**
**კაპიტანი: პედი ჯონსი**
**ხუთი ერი მოგებული აქვს 10-ჯერ**
**დიდი სლემი — 1**
**მატჩები: 141-209**
**წინა გათამაშება: V ადგილი**

*მორკინალები:* პოლ უოლესი, კეიტ ვუდი, პიტერ კლოჰესი, პედი ჯონსი, ჯერემი დევიდსონი, დიონ ოკუინიგენი, ერიკ მილერი, ვიქტორ კოსტელო, ტრევორ ბრენანი, მაიკ გალვი, ჯასტინ ფიცპატრიკი, როს ნესდეილი

*უკანა ხაზი:* კონორ ოში, ჯასტინ ბიშოპი, კევინ მეგსი, ჯონათან ბელი, ჯირვენ დემფსი, დევიდ ჰამფრიზი, კონორ მაკგინესი, რობ ჰენდერსონი, ერიკ ელვუდი, სიარან სკელი

**ირლანდიელებსაც** ახალზელანდიელი მწვრთნელი ჰყავთ — უორენ გატლანდი, თუმცა მისი მუშაობის ორი წლის მანძილზე ირლანდიის ნაკრებს ციდან ვარსკვლავები არ მოუწყვეტია. შარშან ხუთი ერის პირველობის ოთხივე მატჩიც კი წააგეს. თუმცა წლეულს გარკვეული ძვრები ირლანდიურ რაგბიშიც მოხდა, და ეს, ალბათ, ნაკრებსაც დაეტყობა. მათმა რაგბის კავშირმა, ბოლოს და ბოლოს, პროფესიონალიზმი აღიარა, რასაც მოწინავე მორაგბეების სამშობლოში დაბრუნება მოჰყვა. ამან კი კლუბები გააძლიერა და ევროთასზე „ოლსტერის" გამარჯვებამაც არ დააყოვნა. ამ წარმატებამ ირლანდიელებს თვითრწმენა დაუბრუნა და თუ ამას მათ უტეხ სულს დავუმატებთ, ვნახავთ, რომ ისინი შარშანდელივით ხელწამოსაკრავები ნამდვილად არ იქნებიან.

**პაატა თოთაძე**
**გაიოზ თალაქვაძე**



# სალუქვაძემ ჩემპიონობა გაიხსენა

მიუნხენის უმაღლესი კატეგორიის ტურნირში ქართველ მსროლელთა ასპარეზობაზე უკვე გაცნობეთ, მაგრამ დღეს უფრო დაწვრილებით გვინდა გესაუბროთ. მით უფრო, მიზეზიც გვაქვს!

ამ ტურნირს მსოფლიოს ჩემპიონატსაც კი ადარებენ. თავად განსაჯეთ, წლეულს 37 ქვეყნის 417 სპორტსმენი მონაწილეობდა.

ჩვენებურები — ნინო სალუქვაძე და ნინო უჩაძე პნევმატური პისტოლეტით ასპარეზობდნენ. ქალთა შეჯიბრში 58 ქალი ცდიდა ძალას. ბევრი მათგანი ევროპის, მსოფლიოსა თუ ოლიმპიური თამაშების მედალოსანი იყო, ხოლო სალუქვაძის გარდა კიდევ სამი ოლიმპიური ჩემპიონი — რუსები ოლგა კლოჩნევა-კუზნეცოვა (ატლანტის), მარინე ლოგვინენკო (ბარსელონა, 2-გზის) და ხორვატი იასნა სეკარიჩი (სეული) გამოდიოდა. ვფიქრობ, ზემოთქმული ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ტურნირის სიძლიერეზე, ამიტომ სალუქვაძის ორი ოქროს მედალი განსაკუთრებულ მიღწევად გვეჩვენება. ტურნირის პოპულარობაზე ესეც მეტყველებს — წლეულს მიუნხენში იმდენმა მსროლელმა მოიყარა თავი, რომ ტრადიციული სამი სტარტის ნაცვლად ორი გამართეს, ხოლო მოძრავ ფარებზე შეჯიბრი საერთოდ მეზობელ ქალაქ ზულში გადაიტანეს.

სალუქვაძემ ამ ოქროების მოსაპოვებლად ბევრიც იბრძოლა. პირველ დღეს ყველასათვის მოულოდნელად, მას მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ელიტაში ახლახან შეჭრილმა ახალგაზრდა ამერიკელმა რებეკა შნაიდერმა. ფინალში მან აჯობა კიდეც ჩვენებურს, რადგან 100 ქულა დააგროვა, ხოლო ნინომ — 99,4. მაგრამ წინასწარ გასროლებში სალუქვაძემ (387 ქულა) აჯობა ამერიკელს (386). ამიტომ საბოლოო ჯამში ქართველ მსროლელს 486,4 ქულა დაუგროვდა და პირველ ადგილზეც გავიდა. შნაიდერმა 486 ქულით მეორე ადგილი დაიკავა, მესამე კი კლოჩნევა-კუზნეცოვა იყო — 484,8.

კიდევ უფრო რთული იყო მეორე დღე, როცა ნინოს ევროპის დანიელი ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი სუსანა მეიერჰოფი შეეცილა პირველობას. ფინალამდე ისინი ერთნაირი შედეგით — 387 ქულით მივიდნენ, იქ კი, ბოლოსწინა — მეცხრე გასროლაზე ჩრდილოელი დაწინაურდა კიდეც, მაგრამ საბოლოოდ ნინოს უფრო მტკიცე ნერვები აღმოაჩნდა: მან 100,3 ქულა დააგროვა, მეიერჰოფმა — 100,1. საინტერესო ისაა, რომ ფინალში ორივეს უკრაინელმა ირინე მუზამ აჯობა — 100,5 ქულა, მაგრამ წინასწარ სროლებში ნაჩვენებმა დაბალმა შედეგმა ის საბოლოოდ მესამე ადგილზე გაიყვანა.

აღსანიშნავია, რომ სალუქვაძემ მეორე დღეს პირველთან შედარებით გაცილებით უკეთ იასპარეზა. ბოლო ცდებზე მოპოვებული გამარჯვებები მის ბრძოლისუნარიანობაზე მეტყველებს. თავად ნინო ამას კარგი ფსიქოლოგიური მზადყოფნით ხსნის და მიუნხენის ტურნირით ძალიან კმაყოფილია. კმაყოფილია არა მარტო შედეგებით, არამედ ხარისხობრივადაც. ის თვლის, რომ ევროპის ჩემპიონატის წინ მზადების ნაყოფიერი ეტაპი გაიარა და სამომავლოდ რწმენაც შეემატა.

1-7 მარტს ჰოლანდიის ქალაქი არნემი ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. სავსებით შესაძლებელია, იქ სრული გუნდით ვიასპარეზოთ, რადგან სალუქვაძისა და დარეჯან დუმბაძის დაფინანსების საკითხი გადაწყვეტილია. თუ დააფინანსეს, მესამე მონაწილედ, ალბათ, უჩაძე წავა. მატერიალურ შემწეობას კი ყველაზე მეტად თავდაცვის სამინისტროსგან ელიან, რადგან ნინო მათი კლუბის წევრია. თუ სამივე გაემგზავრა ჰოლანდიას, მაშინ ევროპაზე გუნდურშიც ვიასპარეზებთ. მიუნხენში ნაჩვენები შედეგები კი წარმატების იმედს გვისახავს. ოპტიმიზმის საფუძველს ისიც გვაძლევს, რომ 17 თებერვალს ქართველი სპორტსმენები დორტმუნდში 10-დღიან შეკრებაზე მიდიან და არნემსაც პირდაპირ იქიდან ეწვევიან. ფედერაციამ ამ მნიშვნელოვანი ტურნირისთვის აქედანვე დაიჭირა თადარიგი და მსროლელები ტყვიებით, იარაღითა თუ ფულით ადრევე მოამარაგა.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მაიკლ გერკოვიჩის რჩეული საკრივო ფურცლები



ფურცელი ოცდამერვე

# კაცი ხიფათის პირას

## ხულიო სესარ ჩავესის ჭიდილი დროსთან

მისი უკანასკნელი გამოჩენა რინგზე გასული წლის 18 სექტემბერს იყო. დიდმა მექსიკელმა ხულიო სესარ ჩავესმა უკანასკნელად დაუმიზნა საბჭოს ველთერის წონის ჩემპიონის ქამარს — მან რემატჩში გამოიწვია დაუმარცხებელი ჩემპიონი ოსკარ დე ლა ჰოია და წაიქცა კიდეც. წაიქცა, აიღო ექვსი მილიონი დოლარი, თქვა ADIOS და წავიდა.

კრივზე მწერლებმა აღნიშნეს, რომ ნოკაუტით წაგების მიუხედავად, ჩავესი კარგად იბრძოდა. თუმცა, ამის თქმა ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან ჩავესი აღიარებულია საუკეთესო მექსიკელ მოკრივედ.

თავის უკანასკნელი ბრძოლის შემდეგ, გვარიანად ნაცემი, თავპირდასიებული და დასისხლიანებული სამი სხვადასხვა წონის ყოფილი ჩემპიონი, სიტყვაძუნწი იყო. თავისი იერით ის გაბოროტებულ კაცს ჰგავდა. ამის მიუხედავად, მაყურებელი, რომელიც, რა დასამალია და თავის „ოქრობიჭს“, დე ლა ჰოიას ქომაგობდა, პატივისცემით განიმსჭვალა ჩავესის მიმართ. იქ მყოფმა 17,115-მა დამსწრემ ტაში დასცხო ჩავესის განსადიდებლად. ეს არ იყო საკვირველი, რადგან ყველა ხედავდა: ბეხრეკმა ჩავესმა ბევრ რამეში დაჯაბნა დღევანდელობის საუკეთესო მებრძოლი და თუ გაუჭირდა, ისიც შერკინების მიწურულს.

კაცი, რომელსაც ქომაგთა უმრავლესობა საუკეთესო მექსიკელ მოკრივედ თვლის, ოცდათექვსმეტი წლისაა და აქედან თვრამეტი წელიწადი პროფესიულ რინგზე გაუტარებია. მისი შედეგი ლეგენდარულ, წარსულის ჩემპიონთა მიღწევებს უტოლდება — 100 გამარჯვება (83 ნოკაუტით), 3 მარცხი და 2 ფრე. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩავესს დაუმარცხებია თავისი თაობისა და დროის ყველა დიდი, თუ არცთუ ისე დიდი მებრძოლი. სამშობლოში ჩავესს იმგვარი სახელი აქვს, როგორიც, ვქთვათ, ნელსონ მანდელას აფრიკაში. ის მილიონობით ადამიანის კერპია. დროთა განმავლობაში ჩავესი ლამის რელიგიური რწმენის ობიექტად იქცა მექსიკელთათვის. ის კაცობის, გინდათ Macho-ობის სიმბოლოა ამ ქვეყანაში.

მაგრამ დრო გადის და 80-იანი წლების ვარსკვლავები ადგილს უთმობენ ახალი დროის ლეგენდებს. ამათ შორის კი უპირველესი ოსკარ დე ლა ჰოიაა, უკვე ოთხი წონის ჩემპიონი, დამმარცხებელი ჩავესისაც და განთქმული პარნელი ვიტეკერისაც — 29 ბრძოლა, 29 გამარჯვება 24 ნოკაუტით.

მერვე რაუნდის შემდეგ, შესვენებისას ჩავესი აშკარად დაემორჩილა დროის ულმობელ მოთხოვნას. მისი იერი ერთადერთს მეტყველებდა — ბრძოლის გაგრძელება აღარ შეეძლო. რევანში არ გამოვიდოდა, ერთი ახალგაზრდა კაცის მიერ ორჯერ დამარცხებული ჩავესი ქუდს დაიხურავდა. ბრძოლაც ამ შესვენებისას შეწყდა. ამბობენ კორნერის ხალხი ჩავესს სთხოვდა, ბრძოლა შეწყვიტე, ასე უფრო ღირსეულად გამოვალთ ამ საქმიდანო, მაგრამ ის უარზე იყო. შედეგს ელოდნენ. ჩავესმა პირსახოცი ასროლინა თავის ხალხს რინგზე.

„მე მინდა, განვმარტო“, — თქვა მან მეორე დილით, — „მე გაგრძელება მოვინდომე, მაგრამ ჩემიანები შეწყვეტას მთხოვდნენ“.

საკრივო რეპორტიორებმა მთელი ეს ისტორია უკულმა მოუთხრეს ხალხს — თითქოს პირიქით ყოფილიყოს, ჩავესს შეწყვეტა ნდომებოდეს და კორნერს კი პირიქით. ერთმა ისიც კი დაწერა, ამგვარად მოლაპარაკე ჩავესი გვახსენებს გამოჩენილ პრეზიდენტ კლინტონს, რომელმაც სადღაც შორისკენ გაიშვირა თითი და თქვა: „მე არ ვყოფილვარ ამ ქალთან“.

ასე იყო თუ ისე, კრივში გარკვეული ხალხი უფრო რეპორტიორთა ვერსიას ენდო. თუმცა რონ კაცმა, ამ შეხვედრის პრომოუტერმა ჩავესს გამოუცხადა ნდომა, მეტი რა გინდათ, ტუჩგახეთქილი იბრძოდა და სანამდიც შეძლო, შეძლოო.



დე ლა ჰოიამ (მარჯვნივ) დატანჯა ხულიო

ამის მიუხედავად, სანამ ივარგა, ჩავესი საუცხოო იყო. მართლაც რომ საუცხოო და გაცოცხლებული ამ კაცის სხეულში კრივის მექსიკური სტილი!

დე ლა ჰოიასთან რომ მეორედ დამარცხდა, ჩავესმა რინგიდან წასვლა გადაწყვიტა.

თუმცა, ესეც საკმაოდ ბუნდოვანი ამბავია. არანაკლებ ბუნდოვანი, ვიდრე პირსახოცის გადმოგდების ისტორია. ამიტომ ჩავესი წავიდა და არც წასულა. რინგიდან წასვლა ჯერ კიდევ მაშინ გამოაცხადა, როცა გასული წლის ზაფხულში საგადასახადო ინსპექციამ მისი საბანკო ანგარიშები დააპატიმრა და სასამართლომდე მიუყვანა საქმე. მაგრამ მერე, ეს ამბავი მიჩუმდა და ჩავესიც ორაზროვნად ლაპარაკობდა, დონ კინგს სულ სასამართლოში აქვს საქმე და კრივისთვის თავი არ დაუნებებიაო. თვით განქორწინებასაც არ გამოუკვეთავს მისი გადაწყვეტილება — დარჩეს, თუ წავიდეს.

ახლა უკვე გაისმის ხმები იმის თაობაზე, რომ ჩავესი აგრე იოლად არ წავა. რახან დე ლა ჰოია ველთერის წონაშია ჩემპიონი, ხოლო ველთერსა და მის ქვედა, ქვეველთერის წონას შორის სხვაობა სულ შვიდი გირვანქაა, და რახან ჩავესი ისედაც დე ლა ჰოიაზე მსუბუქი იყო, და იმიტომაც, რომ ის თავისი წონის გამო ქვეველთერის რეიტინგშია და ამ წონას მიეკუთვნება, საუკეთესო მექსიკელი კვლავ იბრძოლებს ტიტულისთვის, ოღონდ ამჯერად — საბჭოს ქვეველთერის ტიტულისთვის.

ამგვარი ლაპარაკი უკვე მოესმის საბჭოს პრეზიდენტ ხოსე სულეიმანისგან. ჩავესის შესაძლო მეტოქეთაგან ასახელებენ რუს-კორეელ-ავსტრალიელ კოსტია ძიუს და მიგელ ანხელ გონსალესს.

ქვეველთერი ძლიერი დივიზიონია, ხულიო სესარ ჩავესი კი ბრძოლაში მოქანცული მებრძოლი.

მისი ჯერჯერობით გაუხმაურებელი სურვილი, კვლავ იბრძოლოს, დანის პირზე სიარულს მოგვაგონებს. თავისი კარიერითა და ოსტატობით, ჩავესი ღირსია კანასტოტას კრივის დიდების დარბაზში დაიკავოს ადგილი. ამ საპატიო ადგილს კრივთან გამოთხოვებიდან სამი წლის შემდეგ თუ მიანიჭებენ ხოლმე გამოჩენილ მოკრივეებს. მაგრამ ჩავესის მიმართ ჩნდება ეჭვი, რომ კარიერის გაგრძელების შემთხვევაში, მისი წასვლა რინგიდან სამარცხვინო იქნება, რადგან ჩავესს აღარ შესწევს ძალა მიშვნელოვან ორთაბრძოლებში გამარჯვებისა. დიდების დარბაზი განზე დაურჩება და ხალხსაც ერთ უსუსურ კაცად დაამახსოვრდება და არა საუკეთესო მექსიკელად. ჩავესს ცოცხალი მაგალითიც თვალწინ ჰყავს: ლეგენდარულმა პანამელმა, რობერტო დურანმა დაამტკიცა, რომ თუ ვარსკვლავი დროის შეგრძნებას დაკარგავს და თავის ფიზიკურ მდგომარეობას დაივიწყებს, ნამწვავად გადაიქცევა.

„ხულიო მიადგა ბოლო კარს“, — ზუსტად ასე თქვა ეიჩბიოუს ტელექსელის საკრივო გამრიგემ ჰაროლდ ლიდერმენმა, „ამ საქმეში ყველაზე ცუდი ის არის, რომ იგი ალბათ, გააგრძელებს დივიზიონის საუკეთესო მოკრივეებთან პაექრობას. ამგვარ პაექრობაში კი ის არის ყველაზე ცუდი, რომ ხულიოს აღარა აქვს ისეთი რეფლექსები, რომ დაამარცხოს ქვეველთერის ისეთი აფთრები, ვინს ფილიპსი და ძიუ რომ გახლავან. გული მეწურება, როცა წარმოვიდგენ რომ დიადი ხულიო სესარ ჩავესი უნდა დაემსგავსოს ისეთ თავლაფდასხმულ, ორშაურა მოკრივეებს, როგორიცაა ზაბ ჯუდა“.

ასე რომ, ლიდერმანი დარწმუნებულია, რომ ჩავესი არსადაც არ წავა და იბრძოლებს შვიდნიშნა ჰონორარების ხათრით. ეს საინტერესო შეხედულებაა, რადგან ჩავესს ფული სჭირდება. მექსიკა აქებს და ადიდებს მას, მაგრამ საგადასახადო სისტემა ულმობელი აქვს და ბოლო დროის ჯარიმებმა, ალიმენტებმა, მოსალოდნელმა სასამართლომ ჩავესს მეფური ცხოვრების საშუალება წაართვა. ის არად დაგიდევთ სახელსა და დიდებას და შემოსავლისათვის იბრძოლებს.

„ძველ ქომაგებს ახსოვთ ძველი ჩავესი“, — ამბობს ლიდერმანი, „ჩავესსაც ახსოვს ძველი ჩავესი, მაგრამ მისი გონება ფულს დაუბინდავს. ის აღარ ფიქრობს საკუთარი ჯანმრთელობის გამო. თავდაუზოგავად ივარჯიშა დე ლა ჰოიასთან ბრძოლის წინ. კოლორადოში, ბრეკინრიჯის მთებში ირბინა. ყველამ ვიცოდით, რომ შანსი არ ჰქონდა. თვითონ კი პირიქით, ამტკიცებდა, გავიმარჯვებო. საკვირველი ის არის, რომ გულწრფელად სჯეროდა თავისი ნათქვამისა. შინაურები გადადგომას ურჩევენ, მაგრამ გაგონებაც არ უნდა. ყველაფერი სცადა რინგზე და არაფერი გამოუვიდა. ამასაც ვერ მიხვდა.

ხულიოს დიდი ბრძოლები გადაუხდია. ვერ გრძნობს, რომ ეს მისი სიდიადეა და რომ საკმარისია. ორმოცს მიუკაკუნა და არა ოცდაათს. ვერც ერთი ადამიანის სხეული ვერ გაუძლებს ამდენ სასჯელს, ამგვარ არაადამიანურ ზეწოლას“.

მაშ, ჩვენ დრამის მოწმენი შევიქნებით. ანუ იმისა, თუ როგორ დაკარგავს ყველაფერს წარსულის დიდი ჩემპიონი და მოიპოვებს ფულს. თუ, რა თქმა უნდა, ამასობაში თავს არ წააგებს. ფულისთვის ჩხუბი ჩვეულებრივი, მიღებული ამბავია. მიმომხილველთა შიშს ჩავესის ფიზიკური კონდიცია იწვევს.

მაგრამ, კრივი იმითაც არის საინტერესო, რომ ერთიდაიგივე კაცის გამო ურთიერთგამომრიცხავ ამბებსაც გაიგებ.

აი რას ამბობს ლუ დე ბილა, იმავ ეიჩბიოუს სპორტის საქმეთა ვიცე-პრეზიდენტი:

„მე ჩავესის კორნერთან ვიდექი. ყველაფერი მესმოდა და ყველაფერს ვხედავდი. მან არამხოლოდ კარგად იჩხუბა, არამედ უკანასკნელ წლებში თავისი საუკეთესო ორთაბრძოლა ჩაატარა. ას ათი პროცენტით გაილო ყველაფერი. პირველსავე რაუნდში ტუჩი გაუსკდა. სისხლს კარგავდა და მაინც იბრძოდა.



რა იქნება ხვალ?

თუ გაგრძელებას დააპირებს, ალბათ, ერთ ბრძოლას გამართავს ვინმე ცნობილთან და გადადგება. ის არ გადაიქცევა დურანად. მაგრამ ვინ იცის? თუ ხულიო ფულისთვის ჩხუბობს, ეს ჩემთვის გასაგებია. მაგრამ ამას არ უნდა გადაჰყვე“.

ხულიო სესარ ჩავესის ზეობის ხანა ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარი იყო. იმ დროში ის სწორუპოვარი გახლდათ. მაგრამ ეს იმდენი ხნის წინათ იყო, რომ მოგონებანი ვერაფერში მოეხმარება კაცს. ბოლო სამ წელიწადში ჩავესმა ძალიან ბევრი უმძიმესი დარტყმა იგემა. რაც ყველაზე ცუდია, ამ დარტყმების უმრავლესობა მას თავში მოხვდა. ეს კი უბრალო ამბავი არ არის, რადგან ჩავესი ყოველთვის უძლიერესებს ხვდებოდა და კრივი არასოდეს უქცევია [illegible].

განა შეადარებ დე ლა ჰოიას წინაა[illegible] გამოსულ ჩავესს, და იმ ჩავესს, რომელმაც ედვინ როსარიო დასცა 1987 წელს?

მაგრამ აქ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ხალხს დღევანდელობაზე მეტად წარსული ატკბობს. შუგარ რეი რობინსონი 44 წლისა იყო, როცა თავის უკანასკნელ ბრძოლაში გავიდა და ჯოი არჩერთან დამარცხდა, მაგრამ ეს ბრძოლა აღარავის ახსოვს, რადგან იგი არაფერია შუგარ რეის მთელი კარიერის გათვალისწინებით. მას არ დაუკარგავს თავისი სიდიადე, რადგან მართლაც განუმეორებელი მოკრივე იყო. ჩავესს ამდენწლიანი კარიერა აქვს ზურგს უკან, მაგრამ ისე ჩანს, რომ პირველად დგას გზაჯვარედინზე.

სამწუხაროდ, უფრო იოლი წარმოსადგენია, რომ ჩავესი ერთ ხუთ წელიწადს კიდევ დარჩეს რინგზე, ვიდრე ის, რომ შინ წავიდეს და პენსიონერის მშვიდი ცხოვრების სიტკბოება შეიგრძნოს.

ლიდერმანი კი გადასარევ რამეს ამბობს:

„მე ყოველთვის მემახსოვრება ჩავესის კრივი. როდესაც მისი კარიერის გამო დავფიქრდები, ყოველთვის წარმომიდგება ხოლმე კუთხიდან წამოსული, ყოველი ახალი რაუნდის წინ რინგის შუაგულისკენ დაძრული. მემახსოვრება მისი სახე, მკვლელის ინსტინქტი და კიდევ ერთხელ დავრწმუნდები, რომ ამ კაცმა კვალი დატოვა კრივის ისტორიაში. ის საუკეთესო მექსიკელი მოკრივეა. უკეთესია, ვიდრე მიგელ კანტო და უკეთესია, ვიდრე რუბენ ოლივარესი“.

რა თქმა უნდა, ერთი საქმეა, რომ დაკარგავ მთელს შენს ფულს. კიდევ სხვაა, როცა იმდენი ფული გაქვს, რომ თვლა გიძნელდება. ამაზე უმძიმესია, როცა არ შეგიძლია მოგონებად აქციო ის, რასაც მთელი ცხოვრება აკეთებდი.

ეს მით უფრო ძნელია კაცისთვის, რომელმაც სიამაყე და სახელი შემატა თავის ერს, სრულიად აღტაცებულს და გადარეულს იმით, რომ ჰყავს ასეთი ვინმე.

მისი წასვლა, წარმოუდგენლად ძნელი რამ ჩანს.

ლუ დი ბელა კი ამტკიცებს:

„ის არ არის ერთ-ერთი საუკეთესო მექსიკელი მოკრივე. ის ერთ-ერთი საუკეთესოა იმათ შორის, [illegible]“



დაქანცულ ჩავესს ვერ გადაუწყვეტია, წავიდეს თუ დარჩეს




სავარჯიშო ბანაკში ჩავესი ასე ებრძოდა დე ლა ჰოიას, მატჩის საარჩევნო პლაკატზე აღბეჭდილ მის ფოტოს თეთრი ქაღალდი აკრა

# როკო და მისი გუნდი

## რევოლუცია სრულყოფილებას არ ნიშნავს

### ბენეტონ ფორმულა 1



ჯანკარლო ფიზიკელა
იტალია
დაიბადა 1973 წლის 14 იანვარს რომში, იტალია
უცოლო, ცხოვრობს რომსა და მონტე კარლოში
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1996, „მინარდი"
41 რბოლა, 1 პოული, 1 სწრაფი წრე, 36 ქულა

გუნდის შეფი — როკო ბენეტონი
დიზაინერი ნიკ უირსი
შასი ბენეტონ B-199
ძრავა სუპერტეკი
საბურავები: „ბრიჯსტოუნი"
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1981
267 სტარტი, 27 გამარჯვება, 16 პოული, 36 სწრაფი წრე
მსოფლიოს ჩემპიონი კონსტრუქტორთა შორის 1995
მსოფლიოს ჩემპიონი პირად პირველობაში 1994, 95



ალექსანდერ ვურცი
ავსტრია
დაიბადა 1974 წლის 15 თებერვალს ვაიდჰოფენში, ავსტრია
უცოლო, ცხოვრობს მონაკოში
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1997, „ბენეტონი".
19 რბოლა, 1 სწრაფი წრე, 21 ქულა

**შარშანდელ** სეზონში „მილდ სევენ-ბენეტონ-პლეილაიფმა" კონსტრუქტორთა ჩათვლაში მეხუთე ადგილი დაიკავა და წინ არა მხოლოდ მუდმივი მეტოქეები „მაკლარენი", „ფერარი" და „უილიამსი" გაუშვა, არამედ საშუალო „ჯორდანიც". თითქმის მთელი სეზონი ახალგაზრდა პილოტები ჯანკარლო ფიზიკელა და ალექს ვურცი ჭირვეულ ბოლიდებს ებრძოდნენ. კარგად ჩატარებულ რბოლებს წარუმატებლობანი მოსდევდა და საბოლოოდ ამას გუნდის აღმასრულებელი დირექტორი დევიდ რიჩარდსი შეეწირა. წლეულს გუნდს ბენეტონის ოჯახის უმცროსი წარმომადგენელი, 29 წლის როკო ბენეტონი უხელმძღვანელებს.

ახალმა უფროსმა პრეზენტაციაც ახლებურად მოაწყო: მოცეკვავეების, აკრობატების და მედოლეების ღრიანცელმა კულმინაციას მიაღწია და ვერცხლისფერმა აბრეშუმი მაღლა აიწია, რათა გუნდის ახალი ქმნილება გამოეჩინა. აჩხაკუნდა ფოტოაპარატები, მაგრამ ქსოვილის ქვეშ არაფერი აღმოჩნდა, მხოლოდ შემდეგ შემოაგორეს ბოლიდი და სცენის ცენტრში, პოდიუმზე გამოჭიმეს.

„შარშანდელ სეზონში ბევრი რამ ვისწავლეთ და სწორედ ეს გაკვეთილები დაედო საფუძვლად ჩვენს ახალ კონსტრუქციას" — ამაყად განაცხადა როკო ბენეტონმა, რომელიც „ბენეტონ-B 199" რევოლუციურს უწოდებს და იმედოვნებს, რომ მისი ბიჭები მოწინავეთა შორის იქნებიან.

ბოლიდი მართლაც განსხვავდება წინამორბედისგან. პირველ რიგში თვალშისაცემია რადიატორებისკენ ჰაერის მიმმართველი დაფების გაუქმება და წინა თვლების სამართი ორმაგი ღერძი, რომელმაც კონსტრუქტორთა აზრით, უნდა გააუმჯობესოს მუხრუჭების სისტემა. ამ კონსტრუქციამ იქნებ ბევრი უსიამოვნებაც მოუტანოს გუნდს, რადგან მეტოქეთა პროტესტის მიზეზად შეიძლება იქცეს.

გუნდის შეფ-დიზაინერი ნიკ უირსი ასე ახასიათებს თავის ქმნილებას: „არ გეგონოთ, შარშანდელ მოდელს რაიმე დიდი ნაკლი ჰქონდა, მაგრამ ჩვენ მაინც სრულიად ახალი ტიპის ბოლიდი შევქმენით. ამჯერად მე უფრო აგრესიული ვიყავი. გუნდი მხარში მედგა და ბოლიდს ისეთი ელემენტებიც გააჩნია, რომელთაც ორიგინალურსა და მეტად გაბედულს ვუწოდებთ".

თუ რა სიახლეებს გულისხმობდა, კონსტრუქტორს არ დაუკონკრეტებია, გუნდის მექანიკოსები კი გულმოდგინედ და მოხერხებულად უმალავდნენ აბეზარ ფოტორეპორტიორებს წინა თვლების შეკიდულობას, უფრო სწორად, ორმაგ ღერძებს.

გუნდის პილოტები საკმაოდ იმედიანად არიან განწყობილი. ფიზიკელა აცხადებს, რომ აეროდინამიკურ მილში ბოლიდმა შესანიშნავი შედეგები აჩვენა და ერთი სული აქვს, როდის მიუჯდება საჭეს და ბოლიდს ტრასაზე გამოცდის. თანაც წლეულს უფრო მძლავრი ძრავა იქნება დამონტაჟებული, რაც, მისი აზრით, წარმატების ერთ-ერთი საწინდარი უნდა იყოს.

ალექს ვურციც კმაყოფილია ახალი ქმნილებით. მას განსაკუთრებით ის ახარებს, რომ კოკპიტის კონსტრუირებაში მონაწილეობდა. ავსტრიელი საკმაოდ ტან მაღალი გახლავთ და დიზაინერებიც ხშირად იწვევდნენ მას, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ იგი კომფორტულად იგრძნობდა თავს და კოკპიტის კედლებს ნაკლებად უხათქუნებდა მუხლებსა და იდაყვებს. ახლა კი, უეჭველია, ვურცი უკეთ მართავს ბოლიდს.

რას უნდა ველოდეთ „ბენეტონისგან" წლეულს? რევოლუციური მოდელი მზად არის, მაგრამ რევოლუციური სრულყოფილს არ ნიშნავს. არადა, წლეულს, როდესაც სეზონის განმავლობაში ტესტების რაოდენობა 50 დღით არის განსაზღვრული, სწორად გათვლილ და საიმედო დეტალებს დიდი მნიშვნელობა აქვს. სხვა საქმეა, შეძლებენ თუ არა ახალგაზრდა პილოტები, რომელთაც ფორმულა 1-ში მხოლოდ ორწლიანი სტაჟი აქვთ, ახალი ქმნილების მორჯულებას და რბოლებისთვის სწორად დარეგულირებას (სწორედ ეს ხომ არ იყო შარშან ზოგიერთ რბოლაში აშკარა ჩავარდნების მიზეზი?). თუ გუნდი ამ ორი საკითხის მოგვარებას შეძლებს, მაშინ მისი პილოტებისგან მართლაც წარმატებებს უნდა ველოდეთ — ისინი ჩემპიონატში გამარჯვებისთვის თუ არა, ზოგ ეტაპზე პირველობისთვის მაინც იბრძოლებენ. თუმცა არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ წლეულს მოწინავეთა შორის უფრო მძაფრი კონკურენციაა მოსალოდნელი.

**ალეკო ჭაბუკიანი**




ბენეტონელები ამ ახალ ბოლიდს რევოლუციურს უწოდებენ

ჰოკეი

# გრეცკიმ ჰოუ გაასწრო

4 თებერვალი

1994 წლის მარტში, როცა „დიადმა" უეინ გრეცკიმ ნჰლ-ში 802-ე გოლი გაიტანა და ლიგის ისტორიაში საუკეთესო სნაიპერი გახდა, მის მიერ კვარცხლბეკიდან ჩამოგდებული ლეგენდარული გორდი ჰოუ ბუზღუნებდა, ჩემთვის მსოფლიოს ჰოკეის ასოციაციაში (WHA) გატარებული წლები და გატანილი გოლებიც რომ ჩაეთვალათ, ვნახავდით, ვინ იქნებოდა პირველიო. გავიდა ხუთი წელი და...

**რეინჯერსი — ვანკუვერი 8:4**

2:0 2:1 4:3

1:0 გრეივსი 8'43 (22); 2:0 გრეივსი 14'50 (23); 3:0 მაკლინი 27'22 (18); 4:0 გრეცკი 36'21 (8); 4:1 ნესლუნდი 39'03 (25); 5:1 ლიჩი 43'53 (7); 6:1 სტივენსი 44'59 (11); 6:2 ჟოვანოვსკი 46'32 (4); 7:2 ფედიუკი 48'33 (2); 7:3 ნესლუნდი 50'19 (26); 7:4 ბერტუცი 51'39 (5); 8:4 მაკლინი 58'12 (19)

ამ თამაშს ნიუიორკელი მაყურებელი განსაკუთრებით ელოდა. „მედისონ სკვერ გარდენი" გადაჭედილი იყო. ორი ლეგენდარული ჰოკეისტის — უეინ გრეცკისა და მარკ მესიეს დაპირისპირების ხილვა ყველას აინტერესებდა. და კიდევ: რაკი ორივე გუნდს პრაქტიკულად გადაწყვეტილი ჰქონდა პლეი ოფში გასვლის იმედი, წესით უნდა დაევიწყებინათ ყოველგვარი სატურნირო სტრატეგია და ტაქტიკა და ლაღი, ლამაზი, შედეგიანი თამაში ეჩვენებინათ. ასეც მოხდა. ამ მატჩში იყო ყველაფერი, რაც ასე ამშვენებს ჰოკეის. გრეცკი შესანიშნავი გახლდათ. მან პირველ პერიოდში ორჯერ უზუსტესად მიაწოდა ადამ გრეივსს (2+1), 37-ე წუთზე კი ლიგისა და პირადი რეკორდების ნუსხას კიდევ ერთი დაამატა. „დიადმა" პეტრ ნედვედის პასი მიიღო, შაიბა ერთი შეხებით დაიმორჩილა, კარში გაგზავნა და გორდი ჰოუს სათქმელი აღარ დაუტოვა — ეს გოლი უეინის 21-წლიან პროფესიულ კარიერაში (WHA-ში ორი სეზონის ჩათვლით) 1071-ე აღმოჩნდა, ზუსტად იმდენი, რამდენიც გორდიმ გაიტანა. ისიც აღსანიშნავია, რომ საამისოდ მას 1775 თამაში დასჭირდა მაშინ, როცა ჰოუმ ამ შედეგს 32 სეზონისა და 2421 მატჩის შემდეგ მიაღწია.

უეინ გრეცკის გოლები
WHA — 56 გოლი, პლეი ოფი — 0
NHL — 893 გოლი, პლეი ოფი — 122 გოლი

გორდი ჰოუს გოლები
WHA — 174 გოლი, პლეი ოფი — 28 გოლი
NHL — 801 გოლი, პლეი ოფი — 68 გოლი

მატჩის შემდეგ უეინმა მოკრძალებით თქვა: „მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ლიგის ისტორიაში ყველაზე გამორჩენილი ორი პიროვნებაა — გორდი ჰოუ და ბობი ორი". მან აგრეთვე დასძინა, რომ არასოდეს დაავიწყდება WHA-ში გატარებული კარიერის პირველი წლები.

**სენტ ლუისი — ნიუ ჯერსი 0:2**

0:1 0:0 0:1

0:1 როლსტონი 19'00 (14); 0:2 როლსტონი 59'41 (15)

4 თებერვალი მართლაც რომ ნიუიორკელთა დღე იყო ლიგაში. ქალაქის მესამე წარმომადგენელმაც იზეიმა გამარჯვება (ნიუ ჯერსი ხომ ნიუ იორკის გარეუბანია), თანაც მარტინ ბროდოს გარეშე, რომელიც ჩინებულად შეცვალა კრის ტერერიმ (36 მოგერიება).

**ბოსტონი — აილენდერსი 4:5**

2:0 2:4 0:1

1:0 ელისონი 15'13 (12); 2:0 ბელანჟე 17'11 (2); 2:1 დონატო 20'33 (7); 2:2 ლაპოინტი 24'15 (12); 3:2 ელისონი 25'33 (13); 3:3 ჯენი 20'26 (5); 3:4 პალფი 30'52 (7); 4:4 ელისონი 38'05 (14); 4:5 ლოურენსი 50'04 (6)

ბოსტონელთა წარუმატებლობით განაწყენებულმა მთავარმა მწვრთნელმა პეტ ბერნსმა ჯეისონ ელისონის წამყვანი ტრიოს წევრები სასტიკად გააკრიტიკა. ჯერჯერობით გონს მხოლოდ ცენტრფორვარდი მოვიდა, ხოლო სერგეი სამსონოვმა (1 პასი) და განსაკუთრებით დმიტრი ხრისტიჩმა კვლავ გააცრუეს იმედები.

**ფილადელფია — მონრეალი 5:2**

1:1 1:0 3:1

1:0 ლინდროსი 3'56 (28); 1:1 ჟოლტოკი 11'22 (4); 2:1 ლეკლერი 34'55 (32); 3:1 რენბერგი 41'55 (8); 4:1 ზელეპუკინი 42'23 (10); 5:1 ლეკლერი 50'31 (33); 5:2 ბრიუნე 59'09 (12)

ჯონ ლეკლერი (2+1), რომელიც ყოველთვის თავგამოდებით ეთამაშება თავის ყოფილ კლუბს, თანდათან უახლოვდება მიზანს — „მორის რიშარ ტროფის" და 50-შაიბიანი ზღვარის გადალახვას. ცხადია, როგორც ყოველთვის, მას დაეხმარა ერიკ ლინდროსი (1+2), რომელმაც ბოლო 12 თამაშში 25 (9+16) ქულა დააგროვა.

**კალგარი — ნეშვილი 2:2**

1:0 0:2 1:0 0:0

1:0 ალბელინი 11'25 (1); 1:1 ფიცჯერალდი 28'01 (7); 1:2 ჯონსონი 31'28 (13); 2:2 ნაზაროვი 40'37 (4)

**ლოს ანჯელესი — ჩიკაგო 3:2**

1:1 1:1 1:0

0:1 კილგერი 8'34 (9); 1:1 დიუშენი 15'43 (3); 2:1 ოდეტი 27'12 (7); 2:2 კილგერი 29'21 (10); 3:2 ოდეტი 50'21 (8)

**ფინიქსი — სან ხოსე 3:1**

0:0 3:0 0:1

1:0 ლუმე 21'19 (5); 2:0 ტოკეტი 25'20 (17); 3:0 ტოკეტი 30'51 (18); 3:1 მარლო 52'58 (12)

**სამველ ღარიბიანი**

### სატურნირო ვითარება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ტორონტო | 50 | 29 | 3 | 18 | 162:147 | 61 |
| ოტავა | 49 | 27 | 7 | 15 | 146:109 | 61 |
| ბუფალო | 48 | 24 | 8 | 16 | 132:102 | 56 |
| ბოსტონი | 49 | 20 | 8 | 21 | 125:116 | 48 |
| მონრეალი | 52 | 19 | 8 | 25 | 117:197 | 46 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| კაროლინა | 50 | 23 | 8 | 19 | 128:122 | 54 |
| ფლორიდა | 48 | 19 | 12 | 17 | 122:126 | 50 |
| ვაშინგტონი | 48 | 18 | 4 | 26 | 120:130 | 40 |
| ტამპა | 50 | 11 | 4 | 35 | 99:179 | 26 |
| **ატლანტა** | | | | | | |
| ფილადელფია | 49 | 28 | 11 | 10 | 157:98 | 67 |
| ნიუ ჯერსი | 50 | 29 | 6 | 15 | 145:124 | 64 |
| პიტსბურგი | 46 | 24 | 7 | 15 | 146:126 | 55 |
| რეინჯერსი | 50 | 20 | 7 | 23 | 135:137 | 47 |
| აილენდერსი | 51 | 16 | 4 | 31 | 122:159 | 36 |
| **ცენტრი** | | | | | | |
| დეტროიტი | 50 | 25 | 4 | 21 | 148:129 | 54 |
| სენტ ლუისი | 47 | 19 | 9 | 19 | 125:119 | 47 |
| ნეშვილი | 50 | 18 | 5 | 27 | 115:158 | 41 |
| ჩიკაგო | 51 | 14 | 8 | 29 | 112:161 | 36 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| დალასი | 47 | 30 | 8 | 9 | 141:96 | 68 |
| ფინიქსი | 48 | 26 | 10 | 12 | 130:100 | 62 |
| ანაჰაიმი | 49 | 18 | 9 | 22 | 121:119 | 45 |
| სან ხოსე | 49 | 16 | 12 | 21 | 111:118 | 44 |
| ლოს ანჯელესი | 50 | 18 | 4 | 28 | 120:137 | 40 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| კოლორადო | 50 | 27 | 4 | 19 | 137:123 | 58 |
| ედმონტონი | 48 | 19 | 8 | 21 | 135:126 | 46 |
| კალგარი | 51 | 16 | 8 | 27 | 128:154 | 40 |
| ვანკუვერი | 50 | 16 | 6 | 28 | 125:152 | 38 |



REUTERS ტოკიოდან

# მარტინამ ბურთებიც ააგდო

*მარტინა ჰინგისს მაყურებელთა გართობა მარტო ლამაზი ფორჰენდებითა და სმეშით როდი ხელეწიფება. ტოკიოში მიმდინარე ტურნირის მეოთხედფინალში, როდესაც დიდმა გერმანელმა შტეფი გრაფმა ტრავმის გამო ექიმის დახმარება ითხოვა, 18 წლის შვეიცარიელმა საკუთარი თავი, ჩოგბურთის ბურთები, ფოტორეპორტიორები და მაყურებლები უსაქმოდ არ დატოვა და ჟონგლიორობას მიჰყო ხელი. გახალისებულმა მარტინამ საბოლოოდ მატჩი 3:6, 6:2, 6:4 მოიგო.*



REUTERS ნიუ იორკიდან

# ყველაზე მძიმე მუშტი

მაყურებელთა აზრით, ვანკუვერის ზანგი მეომარი დონალდ ბრაშირი თავისი ამპლუის ჰოკეისტთა შორის საუკეთესოა, მეტიც, მომავალი „ტაფგაის" ეტალონია. მას ლიგაში ყველაზე მძიმე მუშტი აქვს, მაგრამ ბრაშირი მარტო ამით როდი გამოირჩევა. ორთაბრძოლის ტექნიკის ყველა ილეთის მცოდნე პოლიციელებს მხოლოდ ერთი დარტყმით ვერ გაუმკლავდები, ზოგჯერ საქმე მუშტების ქნევამდე არც მიდის. ამიტომაც დონალდს ფალავანთა ბრძოლის წესებიც შეუსწავლია და ძალიან ხშირად მეტოქე დაურტყმელად დაუგდია ყინულზე. მას სახელოვანი „ტაფგაიები" ტაი დომი, მარტი მაკსორლი და ჯონო ოჯიკიც კი ვერ უმკლავდებიან, აღარაფერს ვამბობთ ახალგაზრდებზე — კშიშტოფ ოლივაზე, კენ ბელანჟესა და სხვებზე, რომლებიც მასთან პაექრობას ერიდებიან. 4 თებერვალს ბრაშირის მკლავის ძალა ნიუიორკელმა დერენ ლენგდონმაც იგემა.

# სიმინდის ალი




კოლოფებში ჩადებული სიმინდის ბურბუშელას ამერიკული საუზმეული ჩვენებურ სუპერმარკეტებშიაც გამოჩნდა, თუმცა კორპორაცია „ვითი"-ს ნაწარმი ჯერჯერობით არსად გვინახავს. ამ კორპორაციას კი წესად აქვს, გამოჩენილი ადამიანების სახეები აღბეჭდოს თავის სასიმინდე კოლოფებზე. მსახიობთა და მომღერალთა მხარდამხარ, „ვითი"-ს სიმინდეულს აქვს სერია „ჩემპიონთა საუზმე", რაც გამოჩენილი მწერლის კურტ ვონეგუტის რომანის სათაურიდან უსესხებია.

„ჩემპიონთა საუზმე" დიდ სპორტსმენთა სახეებითაა დამშვენებული.

ამას წინათ, „ვითი"-მ კონტრაქტი გააფორმა 57 წლის მუჰამედ ალისთან და მისი ახალგაზრდობისდროინდელი ფოტოთი დაამშვენა თავისი საუზმეული. აქ იმის დამატებაც შეიძლება, რომ ალი მეორე აფროამერიკელია, „ვითი"-ს კოლოფზე რომ აღბეჭდეს. პირველი კი ყოფილა დღეს მოხუცი და სნეული მობურთალი უოლტერ პეიტონი, რომლის სახეც „ჩემპიონთა საუზმეზე" 1986 წელს აღბეჭდილა.

პარკინსონით ტანჯული ალი კი ღიმილით ათვალიერებს სიმინდის მოყვარულთათვის განკუთვნილ ახალ პროდუქტს.

# აფრენენ...

*ჩვენ ვიცით, ჩიტებს რომ აფრენენ, გერმანიის ნაკრების ფეხბურთელები მიხაელ პრეეტცი და ანდრეას მიოლერი არიან. აი, ჩიტებმა კი არ იციან, თორემ ავტოგრაფებს გამოართმევდნენ. ან კი რა გასაკვირია, ამერიკის შეერთებულ შტატებში ფრინველებმა კი არა, ადამიანების უმრავლესობამ არ იცის, რა არის ფეხბურთი და რას ნიშნავს გერმანიის ნაკრები. უმცირესობა, რომელსაც ამის შესახებ სმენია, დღეს ჯექსონვილში აუცილებლად დაესწრება თავიანთი ქვეყნის ეროვნული გუნდის ამხანაგურ შეხვედრას მსოფლიოს სამგზის ჩემპიონებთან.*



REUTERS ჯექსონვილიდან

როგორ შეიძლება, ჩვეულებრივი რამ წარმტაც სურათად გადააქციო? ამაზე პასუხი ფოტორეპორტიორმა ჯერი ლემპენმა გაგვცა. დღეს ნორვეგიულ ჰამარში, მოციგურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება და ლემპენმაც ფოტოზე, ერთ-ერთი ვარჯიშისას ყინულზე მქროლი გერმანელი კლაუდია ფეხშტეინი აღბეჭდა — ფოტო მართლაცდა თვალწარმტაცი რამ გამოვიდა



REUTERS ჰამარიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე სოსო კოტორეიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური ფეხბურთის განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე ინფორმაციის განყოფილება ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29